გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N13 (9157) 11 მაისი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

განვითარებული რეგიონი ძლიერი ქვეყნის გარანტიაა 2

ალავაშენეთ ნებითა ღვთისათა 7

5

ვეტერანებს ღირსეულად დაუფასდეთ ამაგი

იმერეთის იმერეთობით კეთილისობდეს კეთილი

ჩვენური არასამთავრობო ადგილობრივ მთავრობასთან ერთად 2

რეზო ჩხეიძე გარდაიცვალა

„პარტია იღებს ვალდებულებას, ყველაზე მძიმე თანამდებობები ჩაიბაროს" 3



როცა ამოდის და ნათდება 10

ხომ შედიხარ?! 7

9 თქვენ არასოდეს იქნებით მარტო

ერთობლივი აქცია თბილისსა და სამტრედიაში 3

გაუხუნარი მუსიკის სამყაროში

„რა ეგონა შეუცბუნებელი სიკვდილის, თუ სიცოცხლე გრძელდებოდა მაინც!" 9

განვითარებული რეგიონი ძლიერი ქვეყნის გარანტიაა

ნინო ნანიტაშვილი

"დრო გადის და ეს ხალხი გვაკლდება, ვინც დაგვრჩა, გავუფრთხილდეთ", _ ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა ეს სიტყვები მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების მისამართით თქვა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს 9 მაისს ჩასატარებელი ღონისძიებების ირგვლივ ინფორმაციები მოსთხოვა.

ტრადიციულ თათბირზე ითქვა, რომ რამდენიმე სოფელში არსებული ომში დაღუპულთა მემორიალური დაფების მოწესრიგება ვერ მოხერხდა, რაც მომავალი წლისთვის აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

9 მაისთან დაკავშირებით კონკრეტული დავალებები ვალერიანე ფოცხვერიამ გამგებლის წარმომადგენლებს იქვე მისცა.

თათბირის მონაწილეებს კულტურის სამსახურის უფროსმა ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო დღის პროგრამა გააცნო. მის გამოსვლაში ითქვა, რომ 9 მაისის დილით შინმოუსვლელი ჯარისკაცის დედის ძეგლთან გამოსვლას, სავარაუდოდ, 5 ვეტერანი შესძლებს. ნატალია მანჯგალაძემ დღის განმავლობაში გაწერილი კულტურული ღონისძიებების ჩამონათვალი გააკეთა.

ვალერიანე ფოცხვერიამ 9 მაისს, დილით, სამთავრობო გუნდის რამდენიმე სოფელში გასვლა დააანონსა.

4 მაისის ტრადიციულ თათბირზე სტუმრის სტატუსით იმყოფებოდნენ კახა აბჟანდაძე და ლაშა ქაშაკაშვილი. ბატონმა კახამ თათბირის მონაწილეების წინაშე მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი პროექტის პრეზენტაცია გამართა. მან იქ მყოფ საზოგადოებას სამტრედიის მუნიციპალიტეტში კოორდინატორი ლაშა ქაშაკაშვილი წარუდგინა.

"განვითარებული რეგიონი ძლიერი ქვეყნის გარანტია!" _ ამ სლოგანით და მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს 4 რეგიონში პროექტი მუშაობას შეუდგა. ამის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღეს ტრადიციული თათბირის მონაწილეებმა.

კახა აბჟანდაძე, პროგრამების მონიტორინგის მენეჯერი: "2015 წლის 15 მარტიდან მეწარმეობის განვითარების სააგენტომ საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის პროგრამის განხორციელება დაიწყო. პროგრამის მიზანია ქვეყნის რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, მეწარმეობის მხარდაჭერა. რეგიონული ბაზრების განვითარება და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. პროგრამის ფარგლებში სააგენტო უზრუნველჰყოფს მეწარმეების როგორც ფინანსურ, ისე საკონსულტაციო მხარდაჭერას.

ბიზნეს-გეგმის წარდგენისა და დამტკიცების შემთხვევაში მეწარმეს ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი ბიზნესის საწარმოებლად სახელმწიფოსგან მიიღოს დაფინანსება. თითოეულ რეგიონში პროგრამის ადმინისტრირებას კონკურსის შედეგად შერჩეული ორგანიზაცია უზრუნველყოფს, რომელიც რეგიონში ადგილობრივ დონეზე იქნება წარმოდგენილი და მოსახლეობას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა-დაფინანსების შესახებ საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევს".

კახა აბჟანდაძემ პროგრამის ვადების, დაფინანსებისა და სხვა ინფორმაციების შესახებ დაინტერესებული ადამიანების შეკითხვებს ტრადიციულ თათბირზევე უპასუხა.

შეხვედრის ბოლოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ხვნის პროცესი მოიკითხა. კოტე ნაცვლიშვილის განმარტებით, ამ ეტაპზე 2700 ჰექტრამდეა დახნული, რაც დასახნავი ტერიტორიის 50 პროცენტზე მეტია. "პროცესები სასურველი ტემპით რომ არ მიმდინარეობს, ამაში ძირითადად ხელს უამინდობა გვიშლის". _ განაცხადა კოტე ნაცვლიშვილმა.

დოკუმენტში თავმოყრილია ყველა ის პროგრამა...

თეა ბაბუნაშვილი

შეხვედრები, რომლებსაც საიას წარმომადგენლები იმერეთის მუნიციპალიტეტებში მართავენ, რეგიონულ დაგეგმარებაში საზოგადოების აქტიურ ჩართულობას ემსახურება. რამდენიმე თვის წინ გამართულ შეხვედრას კიდევ ერთი მოჰყვა და იგი გამგეობის საქმეთა დარბაზში გაიმართა. მათი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება, სრულყოფილი და საზოგადოების ინტერესებს მორგებული იყოს სამოქმედო გეგმა, რომელიც კონკრეტული მუნიციპალიტეტის სტრატეგიას განსაზღვრავს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სამოქმედო გეგმა სამი წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტების აღწერილობითი ნუსხაა, რომელიც რეგიონალური განვითარების სტრატეგიებით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულებაზეა ორიენტირებული. მათში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობლივად განსახორციელებელი ყველა პროექტია წარმოდგენილი, ანუ ისინი, რომლებსაც რეგიონული ან ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ და რეგიონალური განვითარების მიზნებს შეესაბამებიან. გარდა ამისა, მასში აისახება კერძო თუ დონორული სახსრებით დაფინანსებული პროექტებიც. თუმცა, ითქვა ისიც, რომ პროექტის შეტანა სამოქმედო გეგმაში არ ნიშნავს მის აუცილებლად დაფინანსებას. "დოკუმენტში თავმოყრილია ყველა ის პროგრამა, რომელიც პრიორიტეტულად მიაჩნია ადგილობრივ ხელისუფლებას. აღნიშნული სტრატეგიული გეგმა არის ცოცხალი დოკუმენტი. მასზე მუშაობა, ცვლილებებისა და კორექტირების შეტანა მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში."_აღინიშნა შეხვედრაზე.

შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარე, სამსახურების უფროსები, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს და სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, აგრეთვე, მუნიციპალიტეტში არსებული არასამთავრობო სექტორი მასმედიასთან ერთად.

განხილულ იქნა დოკუმენტი, რომელიც 2015-17 წლებზეა გაწერილი და იმერეთის რეგიონის სამუშაო სტრატეგიას განსაზღვრავს. ბუნებრივია, კონკრეტული საუბრის თემა სამტრედია და მისი სტრატეგია გახლდათ. გეგმით განსაზღვრულ სამუშაოებს რეგიონალური განვითარების სამინისტრო 8, ადგილობრივი თვითმმართველობა 21, სხვადასხვა პროგრამები კი 11 მილიონ ლარზე მეტით დააფინანსებს. "იმისთვის, რომ დოკუმენტი იყოს სრულფასოვანი, პასუხობდეს რეგიონის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და პრიორიტეტებს, საჭიროა, მისი შექმნისა და განახლების პროცესში აქტიურად ჩაერთოს ადგილობრივი თემი. აღნიშნული პროცესი არის ღია ყველა მსურველისთვის და ჩართულობის მაღალი ხარისხი მხოლოდ ხელს შეუწყობს მას."_ განაცხადა პროექტის კოორდინატორმა მაკა ცერცვაძემ. გამოიკვეთა კიდეც საკითხები, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს და სასურველია, გათვალისწინებული იქნეს სამოქმედო გეგმაში. ისინი დეპუტატის ბიუროს უფროსმა თინათინ ხარძიანმა, აუდიტის სამსახურის წარმომადგენელმა ია ბერძულმა, გიორგი შუბლაძემ და გომში გამგებლის წარმომადგენელმა ზაზა ნიოლეიშვილმა დააყენეს. საიას ქუთაისის ფილიალის წარმომადგენელმა და პროექტის ხელმძღვანელმა ნოდარ ჯიქიამ აღნიშნა, რომ კვალიფიციური დასაბუთების ნიადაგზე, ყველა ეს საკითხი შეიძლება შეტანილ იქნას გეგმაში. მან ყურადღება გაამახვილა, რომ პროექტის დასასრულს მხარის საკონსულტაციო საბჭოს მიეწოდება იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში გამოკვეთილი პრობლემების ნუსხა და ანალიზი რეკომენდაციებთან ერთად. საზოგადოებას კი კიდევ ერთხელ მოუწოდა, გამოიყენონ კანონით მინიჭებული უფლებები და ადგილობრივ თვითმმართველობებს მიაწოდონ იდეები საკუთარი თემის განვითარების მხარდასაჭერად.

ჩეხური არასამთავრობო ადგილობრივ მთავრობასთან ერთად

თეა ბაბუნაშვილი

ხელშეკრულებას, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგებლის განახლებულ კაბინეტში დაიდო, ხელს ერთი მხრიდან ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია PIN-ის წარმომადგენელი ნანა ყურაშვილი, სამტრედიის

მუნიციპალიტეტიდან კი თავად გამგებელი ვალერი ფოცხვერია აწერდნენ. შეხვედრა პროექტის "გამჭვირვალე და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების პროცესის მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე საქართველოში" ფარგლებში შედგა.

ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია სამტრედიაში 2009 წლიდან მუშაობს. როგორც ნანა ყურაშვილი ამბობს, ამ ხნის განმავლობაში მათ საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს არა მარტო მუნიციპალიტეტში არსებულ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, არამედ საზოგადოებასთან, რამეთუ ხშირად ინტერესდებიან მათი საჭიროებებით. იმ დღეს დადებული ხელშეკრულება ეხება სამოქმედო გეგმის განხორციელებას, რომელიც სწორედ პროექტში საზოგადოების ჩართულობით გამოვლინდა. იგი საბავშვო ბაღებისთვის საწოლებისა და სხვა ინვენტარის, საჭადრაკო სკოლისთვის საჭირო ნივთების, სამტრედიის N:1 და გომის სამუსიკო სკოლებისთვის ფორტეპიანოების შეძენას და ყოფილი ხის დამმუშავებელი კომბინატის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობას გულისხმობს. ყველა ეს საკითხი თანადაფინანსებით მოგვარდება, წილობრივი მონაწილეობით PIN-ი 11 ათას ლარს დახარჯავს, ამდენივე თანხით დააფინანსებს სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტიც. "ეს არის პირველი პრეცედენტი იმერეთის რეგიონში, როცა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და არასამთავრობო ორგანიზაცია კონკრეტულ ნაბიჯებს ერთობლივად დგამენ პრობლემების მოგვარებისთვის. პროექტი საპილოტეა. ერთდროულად სამ მუნიციპალიტეტში: თერჯოლაში, ტყიბულსა და სამტრედიაში ხორციელდება.

პროექტის დონორი ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროა. სამუშაოები სექტემბრისთვის დასრულდება და მას ადგილობრივი მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს."_აღნიშნავს პროექტის მენეჯერი ნანა ყურაშვილი.

სამუშაოების განხორციელების პროცესს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, სამტრედიის განვითარების ასოციაცია და რეგიონალური განვითარების რესურსცენტრი დააკვირდებიან.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია თვლის, რომ "მისასალმებელია საზოგადოებისთვის ამდენად სასარგებლო იდეების განხორციელება. ამ არასამთავრობო ორგანიზაციას ძალიან კარგი სურვილები აქვს ჩვენს რაიონთან მიმართებაში და ბუნებრივია, ჩვენი თანამშრომლობა შედგა. ვფიქრობ, იგი სამომავლოდაც გაგრძელდება და ერთობლივად კიდევ მეტ პრობლემას მოვაგვარებთ. გაიზრდება როგორც თანხის, ასევე, შესრულებული სამუშაოების მოცულობაც."

ორგანიზაციამ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მუშაობს, შექმნა მრჩეველთა საბჭოები, რომლებიც პრიორიტეტების განსაზღვრაში ეხმარება და აწყობს საჯარო შეხვედრებს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური ამ საბჭოს თავმჯდომარეა. როგორც იგი აღნიშნავს, "საბჭო ჯერ კიდევ შარშან შეიქმნა. ამ დროის განმავლობაში ხდება მოსახლეობასთან შეხვედრები, გამოკითხვები. მათი აზრის გათვალისწინებით დავგეგმეთ ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებთ. უკეთესი იქნებოდა, თანხა იმაზე მეტი იყოს, რაც დღეს გვაქვს, მაგრამ ეს საწყისი ეტაპია ორგანიზაციასთან ურთიერთობის. ვიმედოვნებთ, თანამშრომლობის გაღრმავებასთან ერთად, საქმეც გაიზრდება და თანხაც. PIN-მა გაითვალისწინა ჩვენი პრობლემები და ის პრიორიტეტები, რაც სამტრედიას აქვს. ამდენად, სასიხარულოა თანამშრომლობის დაწყება."

ამ ყველაფერში დიდი წვლილი სოფიო კირთაძეს მიუძღვისო, მუნიციპალიტეტის გამგებელმა. რეგიონული განვითარების რესურსცენტრის დირექტორი და საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი სოფიო კირთაძე, როგორც პროექტის მენეჯერმა, ნანა ყურაშვილმა აღნიშნა, თვალყურს მიადევნებს პროექტის განხორციელებას მუნიციპალიტეტში. "ჩვენ გარკვეულ მონიტორინგს გავუწევთ სამუშაოებს. ეს პასუხისმგებლობა გახლავთ, პირველ რიგში, საზოგადოების მიმართ. აქტიურად ვიქნებით ჩართულები ამ პროცესებში და ვიზრუნებთ ახალი საჭიროებების გამოვლენისთვის."_ამბობს იგი.

უკვე გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, განსაზღვრული სამუშაოები სექტემბერში უნდა დასრულდეს. არასამთავრობო ორგანიზაცია სამომავლო თანამშრომლობის სანაცვლოდ კიდევ არაერთი პრობლემის მოგვარებას აანონსებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში.

შს სამტრედიის რაიონული სამმართველოს უფროსს, ბატონ ამირან გუმბერიძეს!

ბატონო ამირან!

სსიპ ქალაქ სამტრედიის № 11 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, დირექცია და მშობლები დიდ მადლობას გიხდით იმ თანამშრომლობისთვის, რომელსაც სამტრედიის რაიონის პოლიცია იჩენს მოზარდი თაობის აღზრდისა და პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში. არასრულწლოვნებთან სააღმზრდელო მუშაობა საკმაოდ ფაქიზ მიდგომებს საჭიროებს, რაც მნიშვნელოვანია ჩვენს მუშაობაში, რამეთუ ჩვენ ვემსახურებით ერთ მთავარ მიზანს, სრულფასოვანი ადამიანის აღზრდას საზოგადოებისათვის. ამ მიზნის განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა უწყების სკოლასთან თანადგომას.

ამ სამადლობელი წერილის მოწერა გამაბედვინა იმ ფაქტმა, რომელიც სკოლის მანდატურის მიერ იქნა დაფიქსირებული პოლიციაში 2015 წლის 17 აპრილს, მოსწავლეთა დისციპლინარულ გადაცდომასთან დაკავშირებით.

თქვენს მიერ სწორად გატარებული ღონისძიებები, სადაც გათვალისწინებული იყო მოზარდების რთული ასაკი, ხასიათი, დადებით გავლენას მოახდენს მათ სულიერ, მორალურ და მომავლისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში, რისი გავლენაც უკვე იგრძნობა მათი და მათი მეგობრების ქცევებში.

ბატონო ამირან!

მადლობას გიხდით პირადად თქვენ გულისხმიერებისათვის, რაიონულ სამართველოს უფროს ინსპექტორ-გამომძიებელს, პოლიციის მაიორს, ქალბატონ ნინო მიქაძეს, უბნის ინსპექტორს, ქალბატონ მარიკა მაჭარაძეს და უბნის ინსპექტორს, ოთარ თევზაძეს.

პატივისცემით ლენა ხაჭალია
სსიპ ქალაქ სამტრედიის № 11 საჯარო
სკოლის დირექტორი

"პარტია იღებს ვალდებულებას, ყველაზე მძიმე თანამდებობები ჩაიბაროს"

ნინო ნანიტაშვილი

ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია სამთავრობო გუნდში ორი კვირის წინ განვითარებულმა მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა. მოლოდინი იყო, პრემიერი ლარის კურსის ვარდნის გამო ეკონომიკურ გუნდს დაითხოვდა, თუმცა ბევრისთვის მოულოდნელად ცვლილება სამ სამინისტროს შეეხო: ირაკლი ღარიბაშვილმა სპორტისა და ახალგაზრდობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრებს თავდაცვის მინისტრიც მიაყოლა. ლევან ყიფიანი, ელგუჯა ხოკრიშვილი და მინდია ჯანელიძე ვიგლა აბულაშვილმა და თინათინ ხიდაშელმა შეცვალეს. საზოგადოებაში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, ხელისუფლებაში "რესპუბლიკელების" მოძლიერებისა. ზოგადად რას ფიქრობს შექმნილ სიტუაციაზე და რა პროგნოზების გაკეთება შეუძლია, ამისათვის "სამტრედიის მაცნე" მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "რესპუბლიკელების" თავმჯდომარეს დაუკავშირდა. ცნობისათვის, იმედა გოგავა იმავდროულად არის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და "რესპუბლიკური" პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი.

_ ბატონო იმედა, ეთანხმებით თუ არა გავრცელებულ მოსაზრებას მთავრობაში "რესპუბლიკელების" მოძლიერების თაობაზე?

_ მინდა, გითხრათ, რომ ჯერ კიდევ წინა წლის დეკემბერში "რესპუბლიკურმა პარტიამ" ოფიციალური წერილით მიმართა კოალიციის პოლიტსაბჭოს და მოითხოვა, დოკუმენტალურად, მკაცრად განსაზღვრულიყო კოალიციის დღის წესრიგი. ეს უკანასკნელი გამხდარიყო უფრო დემოკრატიული, მასში შემავალ პარტიებს განსაზღვრული ჰქონოდათ თავიანთი ფუნქცია და როლი, წინააღმდეგ შემთხვევაში "რესპუბლიკელები" იტოვებდნენ უფლებას, საკუთარი პარტიის პოლიტიკური ცხოვრება თავად განესაზღვრათ. ალბათ, გახსოვთ, იგივე პარლამენტში, საკრებულოებში, თუნდაც, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც "რესპუბლიკელებმა" კოალიციის მიერ გამოტანილ საკითხს მხარი არ დაუჭირეს. ამან მითქმა-მოთქმა და პოლიტიკური სპეკულაციები მაშინაც გამოიწვია, თუმცა, ჩვენ არ ვაპირებდით გადაწყვეტილებების ცხელ გულზე მიღებას. აქვე აღსანიშნავია, რომ "რესპუბლიკელები" ყოველთვის გამოირჩეოდნენ სახელმწიფოებრივი აზროვნებით, კომპეტენტურობით და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით. ის, რაც 10-ოდე დღის წინ ვიხილეთ, მთავრობაში რამდენიმე "რესპუბლიკელის" მოსვლა, ეს არის კოალიციის მხრიდან პირველი შემხვედრი ნაბიჯი, რასაც, ჩემი ღრმა რწმენით, შესაძლებელია, მოჰყვეს მომდევნო ნაბიჯები, რომელიც ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს დაუკავშირდება.

_ როგორ ფიქრობთ, პრემიერი შეცვლის თუ არა კიდევ რომელიმე მინისტრს და მისი შემცვლელი ისევ "რესპუბლიკელი" ხომ არ იქნება?

_ რთულია პროგნოზის გაკეთება, თუმცა, გამორიცხული არაფერია. აქვე დავსძენ, რომ "რესპუბლიკელებისთვის" პანაცეა არ არის პრემიერ მინისტრობა ან სხვა მაღალი თანამდებობა. ჩვენთვის პანაცეა ამ ქვეყნის მომავალია. პარტია იღებს ვალდებულებას, რომ ყველაზე მძიმე თანამდებობები ჩაიბაროს და ყველაზე ღირსეულად გაიყვანოს ქვეყანა სამშვიდობოზე. ის, რაც ქვეყნისთვის კარგია, მისაღებია "რესპუბლიკელებისთვის" და _ პირიქით.

_ ანუ თქვენ გინდათ, თქვათ, რომ წარმოდგენილ პოლიტიკოსთა შორის დღეს საქართველოში ჭკუა "რესპუბლიკელებს" მოეკითხებათ? პარტია "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" კადრების დეფიციტი აქვს?

_ "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" თავისი არსებობის სულ ორიოდე წელს ითვლის. აღნიშნული პარტიის დამფუძნებელი, ბატონი ივანიშვილი ხშირად და ხმამაღლა ამეორებს, რომ მისთვის "რესპუბლიკური პარტია" ყველაზე მისაღები, თანმიმდევრული და მძიმე წონიანი პოლიტიკოსებით დაკომპლექტებული გუნდია. ვფიქრობ, რომ ასეთი რესურსის არგამოყენება შეცდომა კი არა, დანაშაულია.

_ დავუბრუნდეთ დიდ პოლიტიკას და სამთავრობო გუნდს. ორი მინისტრის ცვლილებას ნაკლები ვნებათაღელვა მოჰყვა, რაც შეეხება თავდაცვის ახალ მინისტრს, თინა ხიდაშელის გამინისტრება რეზონანსული გახდა. იმის გამო ხომ არა, რომ ძალოვან უწყებაში ქალი პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი პრეზიდენტია?

_ ჩემი აზრით, არ არსებობს ქვეყანაში პოსტი, რომელსაც თინა ხიდაშელმა თავისი ძლიერი ხელი არ დაატყოს. არ მეგულება სფერო, რომელშიც თინა ხიდაშელის კომპეტენცია ეჭვქვეშ დადგეს. ამას მიმატებული მისი შრომისმოყვარეობა, საქმისადმი ერთგულება და პასუხისმგებლობა არის გარანტია იმისა, ვთქვათ: თინა ხიდაშელი იქნება თავდაცვის წარმატებული მინისტრი.

_ ბატონო იმედა, მინდა, გულწრფელი იყოთ. თქვენი აზრით, ეს კონკრეტული გადაწყვეტილება ირაკლი ღარიბაშვილმა დამოუკიდებლად მიიღო, თუ, როგორც მისი ოპონენტები ამტკიცებენ, ბიძინა ივანიშვილის ნაკარნახევია?

_ ბატონი ღარიბაშვილი ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრია. ის ყველაზე კარგად ხედავს სახელმწიფოს წინაშე მდგარ პრობლემებს, განვითარების გზებს, შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას, ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო ჩააბაროს ადამიანებს, რომლებიც იქნებიან წარმატებების მომტანები. სხვა შემთხვევაში მთავრობის მუშაობა არაეფექტური გახდება, მთავარი წილი კი პრემიერ-მინისტრზე წამოვა, ანუ მე იმის თქმა მინდა, რომ კადრების დანიშვნის პასუხისმგებლობა ღარიბაშვილზე მოდის.

_ ბოლო პერიოდში დინამიური გახდა სამტრედიელი "რესპუბლიკელების" მოქმედებები. უშუალოდ ვგულისხმობ 27 აპრილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მსვლელობას. პრაქტიკულად იმ დღეს იმედა გოგავა გახდა ინიციატორი, თანაგუნდელების მიერ საკრებულოზე შეტანილი საკითხის ჩავარდნისა, რაც "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" მხრიდან გაპროტესტების მიზეზი გახდა.

_ ადგილობრივ რესპუბლიკელებს დინამიურობა მუდმივად გვახასიათებს. მინდა, გაგიმხილოთ, რომ "რესპუბლიკელების" ადგილობრივი ორგანიზაციაც არ განიცდის კომპეტენტური კადრების დეფიციტს, რაც ხშირ შემთხვევაში გვეხმარება, ამა თუ იმ საკითხს რეალურად შევხედოთ და წინააღმდეგობაში მოვიდეთ, თუნდაც, ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებთან. ჩემთვის ყოველთვის მთავარი იყო ჩემი ქალაქის, სამტრედიელების ინტერესი. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პრიორიტეტი უცვლელი დარჩება. მომავალშიც არ მოვერიდები ხმამაღლა და პირველმა დავაფიქსირო ჩემი აზრი, თუნდაც, იგი არ ჯდებოდეს საერთო პოლიტიკურ კონიუნქტურობაში.

_ "რესპუბლიკელების" ამგვარი დამოკიდებულება შეუძლებელია, ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას ხშირად აფიქრებინებს "რესპუბლიკელების" პარტნიორობას და "ნაციონალებთან" თანამშრომლობას.

_ აქ უკვე შეგედავებით. მართალი გითხრათ, არ მახსენდება, "ნაციონალებთან" იმედა გოგავაზე მეტად დაპირისპირებული ადამიანი. აქვე მინდა დავძინო, ამ ქალაქში, ბოლო ათი წელია, არ ყოფილა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, პრესით, ტელევიზიით, ბრიფინგებით თუ პრესკონფერენციების ფორმატით არ გამეშუქებინოს. კარგად მახსოვს ის დრო, როცა იმედა გოგავა "ნაციონალებს" პერსონა ნონ გრანტად ჰყავდათ გამოცხადებული და თანაქალაქელების გარკვეულ ნაწილს ელემენტარული მისალმებაც ეკრძალებოდათ.

მაშინდელ ბრძოლაში, რატომღაც, ნაკლებად მახსენდებიან "ნაცების" კრიტიკით დაკავებული პოლიტიკური მძლეთამძლეები, თუმცა, ამასაც ვუძებნი ახსნას.

მინდა გითხრათ, რომ პოლიტიკაში დოგმებით აზროვნება და მოქმედება არასდროს არის შედეგზე ორიენტირებული, შესაბამისად ხელს უშლის ნორმალური, საღი აზრის ჩამოყალიბებას. ამაზე სხვა კომენტარი არ მაქვს.

ერთობლივი აქცია თბილისსა და სამტრედიაში

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს ახალგაზრდა რკინიგზელთა ასოციაციის ინიციატივით 30 აპრილს ქვეყნის დედაქალაქსა და სამტრედიაში დასუფთავების ერთობლივი აქცია მოეწყო. ღონისძიების მსვლელობაში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა არკინიგზო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დასუფთავების აქცია 12 საათზე დაიწყო და დაახლოებით, 1 საათი გასტანა. რკინიგზელებმა სადგური "სამტრედია-2"-ის მიმდებარე ტერიტორია ნაგვისგან გაათავისუფლეს, გარემო ძირითადად პლასტმასის ბოთლებით, სიგარეტის ცარიელი კოლოფებით იყო დაბინძურებული.

სამტრედიაში დასუფთავების აქციის ორგანიზატორები ახალგაზრდა რკინიგზელები, ელგუჯა ნუცუბიძე და ირაკლი ტორონჯაძე გახლდნენ.

ელგუჯა ნუცუბიძე 2012 წლის ნოემბერში ახალგაზრდა რკინიგზელთა ასოციაციის თავმჯდომარედ იქნა არჩეული. ამ ფაქტს დღეს ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ასე იხსენებს:

"დაახლოებით სამი წლის წინ, ზუსტად 8 ნოემბერს, რვა ადამიანი სხვადასხვა რეგიონიდან შევიკრიბეთ და რკინიგზელთა ასოციაცია დავაფუძნეთ. ვინაიდან სამტრედია საქართველოს რკინიგზაზე ერთ-ერთი ძლიერი კვანძია, დამფუძნებლებს შორისაც ძირითადად სამტრედიელები ვართ. პირველ თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. 2 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ პოსტი ლევან ლომსაძემ დაიკავა. აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კაციტაძეა, ხოლო ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე _ ამირან ჩაფიძე".

ასოციაციის მიზანია, რკინიგზის ფარგის ლობირება, სამართლებრივი საკითხების წინ წამოწევა, რკინიგზელების უფლებების დაცვა. ყველაზე მთავარი მათთვის საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაა, კერძოდ, რკინიგზის სფეროებში საგანმანათლებლო გრანტების მიღება.

30 აპრილს სამტრედიაში დასუფთავების ადგილად შეგნებულად იქნა შერჩეული სადგური "სამტრედია-2"-ის ტერიტორია. საქართველოში სულ ორი მახარისხებელი სადგურია _ ერთი თბილისში, ხოლო მეორე _ სამტრედიაში. ეს უკანასკნელი საქართველოს რკინიგზაზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მახარისხებელი სადგურია.

ელგუჯა ნუცუბიძე: "არეულობის პერიოდიდან სადგურ "სამტრედია-2"-ს ფუნქცია დაეკარგა. იგი სრულყოფილად არ არის დატვირთული, თუმცა თავის მნიშვნელობას იგი ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებს. ამიტომ მოხდა დღეს ამ მონაკვეთის დასუფთავება. პარალელურ რეჟიმში თბილისის ცენტრალის მოწესრიგება მიმდინარეობს, მაქვს ინფორმაცია, რომ იქაც ყველა სარკინიგზო ორგანიზაცია და ქალაქის მერია აქტიურად არიან ჩართულები.

2015 წლის 6 თებერვალს სამტრედიაში ახალგაზრდა რკინიგზელთა ასოციაციის თავმჯდომარედ ირაკლი ტორონჯაძე აირჩიეს, მოადგილედ _ ლევან ბელთაძე (ყოფილი თავმჯდომარე). ირაკლი რკინიგზელთა ცნობილი, კოლორიტული ოჯახიდან არის, ბაბუისა და მამის სახელოვან წარსულს დღეს ის აგრძელებს.

ირაკლი ტორონჯაძე: "სამტრედიას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა და როლი საქართველოს რკინიგზაზე. ზოგადად რკინიგზას კი ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტი მისია აკისრია, გადაზიდვებიდან შემოსული პირდაპირი შემოსავლების გარდა მგზავრების გადაყვანისა და სამხედრო ტვირთების გადაზიდვის კუთხით ბევრი სოციალური ვალდებულება აკისრია. ერთი სიტყვით, "საქართველოს რკინიგზა" არის სახელმწიფო სახელმწიფოში. რაც შეეხება სამტრედიას, იგი ერთ-ერთი მთავარი კვანძია, სამი რეგიონის გზაგასაყარი. ამიტომაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დღევანდელი დასუფთავების აქციას, სადაც სამტრედიელმა რკინიგზელებმა თავი ისახელეს".

ვაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იზიარებს საერთო ტკივილს ქობულეთში მომხდარი ტრაგედიის დროს რევაზ დემეტრაშვილის, თორნიკე ხვიჩიასა და დავით ზაქარაძის დაღუპვის გამო.

რეზო ჩხეიძე გარდაიცვალა

"მთავარი კი მაინც სამშობლოა _ საქართველო!" _ ასე მთავრდება წერილი, რომელიც ერთ-ერთი შეხვედრისას მისახსოვრა დიდმა რეჟისორმა. რეჟისორმა, რომლის მხრებზე ქართული კინოს რენესანსის წლებმა გადაიარა. თენგიზ აბულაძესთან ერთად "მაგდანას ლურჯას" გადაღებითა და საერთაშორისო აღიარებით დაიწყო ჯერ არნახული წარმატებებისაკენ სვლა რეზო ჩხეიძემ და ხანდაზმულმა, სიცოცხლეშივე მოიპოვა ერისკაცის წოდება.

"ჯარისკაცის მამით" ხომ მსოფლიო კინემატოგრაფმა შეუფასებელი ნიმუში შეიძინა და მისი რეჟისორი იმთავითვე აღიარა საუკუნის მოვლენად.

რთული იყო სახელოვანი მამის, დავით ჩხეიძის (დია ჩიანელი) შვილობის ჭაპანის ზიდვა, მაგრამ ბატონმა რეზომ ამ ცხოვრებისეულ გამოწვევასაც სამაგალითოდ გაართვა თავი.

თმაშევერცხლილ ხელოვანს პირველად სამების საკათედრო ტაძრის მამათა მონასტერში შევხვდი. დაუვიწყარია ის გარემო, სადაც დროებითი საცხოვრებელი მოეწყო რეზო ჩხეიძეს. კედლიდან მისი მოღვაწეობის უმაღლესი მწვერვალი, შედევრი _ "ჯარისკაცის მამა" იმზირებოდა სერგო ზაქარიაძის სახით.

"ეცადე, ბევრი იკითხო, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიიდან. ჩვენ ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურა გვაქვს!" _ სიტყვები, რომელიც დამშვიდობებისას წარმოთქვა რეზო ჩხეიძემ დღემდე მკვეთრად ჩამესმის და ბუმბერაზი მოღვაწის სიცოცხლის უკანასკნელ წლებს მაგონებს.

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, თავდადებული პატრიოტი, საოცრად უშუალო, დიდთან-დიდი და პატარასთან-პატარა, ასეთად რჩება ჩემს მახსოვრობაში ბატონი რეზო, ბრძენი რეჟისორი, რომლის არსებობის მთავარი მიზანი უფლის დიდებით გამთლიანებული საქართველოს ხილვა გახლდათ.

მშობლიურ ქუთაისს ხშირად სტუმრობდა. ბოლოს, ქუთათურთა მასპინძლობით ნასიამოვნები რომ ვნახე, მითხრა: "მალე იმერეთს დავუბრუნდები, აქ ჩამოვალ და ვიმუშავებო"... ვეღარ შეძლო, თაროზე ერთი სცენარი დარჩა. დარდად გაჰყვა განუხორციელებელი საქმე.

მარადიულ სამყოფელში, სამების ტაძრიდან მიაცილებდა ქართველი ერი რეზო ჩხეიძეს, კაცურად გავლილი ცხოვრების მაგალითს, ზეციურ პიროვნებას!

ნათელში იყოს!

შოთა კალანდია

მეოხ გვეყავ, წმინდანო

ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა სოფელსა მშვიდობა მოანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა".

12 მაისს ეკლესია საქართველოში ანდრია პირველწოდებულის შემოსვლას აღნიშნავს!

ლევან გაბეჩავა

მართლმადიდებლური ეკლესია წელიწადში ორჯერ _ 12 მაისსა და 13 დეკემბერს აღნიშნავს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს. უფალმა იესო ქრისტემ მას პირველს მოუწოდა, ამიტომაც ეწოდა პირველწოდებული.

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, "რაჟამს წილად იგდეს მოციქულთა" საქადაგებლად, ღვთისმშობელს იერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ რადგანაც მისი მიცვალების ჟამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გამოგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით.

ყოვლადწმინდა ქალწულმა მოუწოდა წმინდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა "დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა".

ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს სიწმინდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და დიდ ღვაწლს შემდგარი აკურთხა.

წმინდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა. "შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება".

დიდაჭარაში დღემდეა შემორჩენილი ტაძრის ნანგრევები, რომელიც, გადმოცემით, ანდრია პირველწოდებულს აუშენებია.

მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ნეტარს ურწმუნოთაგან, მაგრამ მადლობით დაითმინა ყოველივე.

"ვიდრემდის ყოველნივე მოაქცევინა და მოიყვანა სარწმუნოებად". იმ ადგილს, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა "ფერად შუენიერი და დიდი" წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალი წარმართი შეუყენა ქრისტეს გზას.

ახალმოქცეულთ მოციქულმა დაუდგინა მღვდლები და დიაკვნები, "დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა" აუგო ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დააბრძანა...

"წმინდაო მოციქულო, მოციქულთა უპირატეს წოდებულო ანდრია,

მეოხ გვეყავ, წმინდანო

ორგაძეა.

_ არც ერთი ჟურნალი არ ითვალისწინებს ვრცელი მასალის ბეჭდვას. მოკვლევული მასალა, რომელიც ჩემს ხელთაა, გაცილებით ვრცელია, ვიდრე "კარიბჭეში" გამოქვეყნებული. _ თხრობას განაგრძობს რესპონდენტი.

შეკითხვაზე: ხომ არ გეგმავს სამომავლოდ მოძიებული მასალა ერთ წიგნად გამოსცეს, გვპასუხობს: იდეაში მაქვს წიგნის გამოცემა, მსურს იგი სამტრედიის 145 წლის იუბილეს მივუძღვნა, ეს არის მხოლოდ, რომ საამისოდ უფრო ნაყოფიერი გარჯა, დიდი დრო და შესაბამისი ხარჯებია საჭირო. მინდა ვისარგებლო გაზეთის მეშვეობით და ვთხოვო სამტრედიელებს, თუ მათ ხელი მიუწვდებათ საინტერესო ფოტოდოკუმენტურ მასალაზე, ჩვენ მოგვაწოდონ. საავტორო უფლებები კანონის ფარგლებში იქნება დაცული, საერთო საქმე კი გაკეთდება, იგი ჩვენს მომავალს დიდ სამსახურს გაუწევს. _ დასძინა მან.

ვიმედოვნებთ, ღრმადმორწმუნე ქრისტიანის, გიორგი გიორგაძის გარჯა, ოცნება რეალობად იქცევა და სამტრედიელები კიდევ ერთ საინტერესო წიგნს მიიღებენ, მანამ კი, მანამ თვალი ვადევნოთ ჟურნალ "კარიბჭეს". რუბრიკაში 'ჩემი სოფელი" შესაძლოა თქვენი სოფლის ისტორია იხილოთ.

წარმატებებს ვუსურვებთ გიორგი (გოგიტა) გიორგაძეს კეთილ საქმეთა კეთილად ასრულებაში.

ორ მზეს ფიცულობდნენ...

საქართველოსას და ისრაელისას. მზე კი ერთი იყო, ერთია და, ლხინი და ტკივილიც ერთი ჰქონდათ ქართველებსა და ებრაელებს. განსაცდელი მრავალჯერ მოუვლინა მსოფლიოში გაფანტულთ განგებამ, თუმცა, ყოველივეს საოცარი მოთმინებით იტანდნენ და... ერი გადარჩა, არათუ გადარჩა, საუკუნეთა მანძილზე დევნილობაში მყოფმა განსწავლულობით, ნიჭიერებით, მიღწევებით სამყარო გააოცა. მარტო იმისი თქმაც კი იკმარებს ამის ნათელსაყოფად, რომ თანამედროვე მსოფლიოში ნობელის პრემიის ლაურეატთა ერთი მესამედი ებრაელია...

მრავალჯერ დაწერილა და კვლავაც დაიწერება ქართველთა და ებრაელთა შეუბღალავი ოცდაექვსსაუკუნოვანი ურთიერთობისა და თანაცხოვრების შესახებ.

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ სოფელ კულაშში ადგილობრივ თავად მიქელაძეებს ჩამოუყვანიათ მე-17 საუკუნის შუა ხანებში ებრაული ოჯახები. მერე კი მათ მთელი კულაში მოიცვეს.

ქალაქ სამტრედიის დაარსების 145 წლის იუბილის მოახლოებასთან დაკავშირებით ის ებრაელები გვსურს გავიხსენოთ, სამტრედიელთა მხარდამხარ რომ იღვწოდნენ და საქართველოს სიყვარულში ტოლს ქართველებსაც არ უდებდნენ.

სამტრედიის მემატიანე ვერაფრით აუვლის გვერდს ებრაელ ექიმებს: ილია ბოთერაშვილს, შოთა ლევიაშვილს, აბრამ ელიშაყაშვილს, რუბენ ბათაშვილს, დუდუ მიხელაშვილს, რობერტ და ტანია მიხელაშვილებსა და სხვებს, არაერთხელ რომ უთენებიათ ღამეები ავადმყოფთა საწოლთან.

სამტრედიაში ებრაული დიასპორის კოლორიტებად ღირსეულად იყვნენ მიჩნეულები ბატონები: იოსებ, ამირან, ბუჭუნა, შოთა მიხელაშვილები. წლების მანძილზე იღვწოდნენ ჩვენს ქალაქში ჟურნალისტი მენაშე (ბუჭუნა) ელიშაყაშვილი, იურისტი მენაშე ბათაშვილი, პედაგოგი მიშა ბოთერაშვილი, პოეტი სამუელ მოძღვრიშვილი...

მრავალთა ქორწილი უქცევიათ თურმე ლხინად გაბოსა და აბრაშკას, საოცარი ხმითა და ქართულ ინსტრუმენტებზე დაკვრით რომ გამოირჩეოდნენ.

145 წლის სამტრედიის ისტორიაში ღირსეულად დაიკავა ღირსეული ადგილი დავით ჯანაშვილის (დანიელა ურიას) სახელმა.

დანიელა ურია
ჩვენში რამ გაურია,
ღორის ხორცი უჭამია,
გაქართველებულია...

ნათლად მეტყველებდნენ ეს სიტყვები ებრაელი დანიელასა და ქართველების სისხლხორცეულ კავშირზე, მეგობრულ ურთიერთობაზე.

მიქელაძეებთან, ქაჯაიებთან, კახიანებთან, ნიჟარაძეებთან... გასული საუკუნის წარჩინებულ სამტრედიელებთან მნიშვნელოვანი ლხინი, წვეულება წარმოუდგენელი ყოფილა დანიელას მიწვევის გარეშე. მისი ხმის ტემბრით მრავალნი მოხიბლულან. ილიას და აკაკისაც შეხვედრია თურმე დანიელა არაერთხელ, დიახაც რომ მოხიბლულან ებრაელი, თვითმყოფადი ნიჭით დაჯილდოებული კაცით ერისკაცები.

ჩვენს მიერ მოხმობილ ებრაელთაგან ბევრი ცოცხალი აღარაა, თუმცა, მეხსიერება, ისტორია სათუთად ინახავს მათ გვარ-სახელებს, რომელთა მიღმაც ათობით ღირსეულად განვლილი წელია და სათანადო პატივს მიაგებს მათ.

მისასალმებელია, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული მანძილის მიუხედავად, ებრაელები არ ივიწყებენ საქართველოს, თავიანთ მეორე სამშობლოს, არ ივიწყებენ ქართველ ძმებს და სიყვარულის წილ თავადაც სიყვარულს იმკიან.

145 წლის იუბილეს იზეიმებს მალე ქართველთა და ებრაელთათვის ერთნაირად ძვირფასი და საყვარელი სამტრედია.

ფერილი მეორე

სამტრედია ჩემი_

ლევან გაბეჩავა

ყველა სახლზე სამტრედეა,
სიხარულის მჩენი
სამტრედია, სამტრედია,
სამტრედია ჩემი...
გ. ჯულუხიძე

არცთუ დიდი ხნის წინ, მართლმადიდებლურ ჟურნალ "კარიბჭეში" მოძიებულ ფაქტებზე დაყრდნობით მომზადებულ წერილებს წავაწყდი, რომლებიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ისტორიასა და თანამედროვეობას ეხებოდა. ორმაგად გავიხარე, როცა მათი ავტორი "სამტრედიის მაცნეს" ერთგული მკითხველი, ახალგაზრდა ისტორიკოსი გიორგი (გოგიტა) გიორგაძე აღმოჩნდა. ვთხოვეთ, რედაქციაში გვწვეოდა და სამომავლო გეგმებზე გავსაუბრებოდით.

_ სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ისტორიული წარსულის კვლევა-ძიება ჩემი მიზანია, ვიცი, რომ ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქალბატონმა ნინო კობახიძემ, ბატონებმა ვაჟა თვალავაძემ და მიხეილ ნიკოლეიშვილმა, მაგრამ მე, აქცენტირებას სოფლებში წინათ და ამჯერად არსებულ ეკლესია-მონასტრებზე, სასულიერო პირთა მოღვაწეობასა და მრევლის, მოსახლეობის სარწმუნოებრივ-სულიერ ასპექტებზე ვაკეთებ. მოგეხსენებათ, რომ ჟურნალი "კარიბჭე" რუბრიკაში 'ჩემი სოფელი" მკითხველს ამცნობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა სოფლის ისტორიულ, მოკვლევულ მასალებს, თანამედროვე პრობლემებს, მიღწევებს და ა. შ. რუბრიკას ქალბატონი თეა ცაგურიშვილი უძღვება. მქონდა პატივი, უკვე სამტრედიის რამდენიმე სოფლის ისტორია გამეცნო მკითხველისათვის. ჟურნალთან თანამშრომლობას, შესაბამისად საკვლევაძიებო მუშაობას მომავალშიც განვაგრძობ, ვიმედოვნებ ეს მკითხველსაც დაინტერესებს და მოკრძალებულ წვლილსაც შევიტან ჩვენი სოფლების ისტორიის სრულყოფილად შესწავლის საქმეში. _ აღნიშნა ჩვენთან საუბარში გოგიტა გიორგაძემ.

მარადიული არაფერი და არავინაა ამ მზისქვეშეთში, ამდენად, ისტორიის შექმნასაც ფეხდაფეხ დევნა, ყურადღება სჭირდება, ამ საქმეში მცირედი გარჯაც კი, ჩვენი ყოფის ამსახველი მასალების შეგროვებას რომ ემსახურება, დასაფასებელია, ორმაგად დასაფასებელია მაშინ, როცა ამ საშვილიშვილო საქმით დაინტერესებულთა შორის ისეთი ახალგაზრდა კაცი გვევლინება, როგორიც გიორგი გი-

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" ეჯითხვედრება!

მიმდინარე წლის 21 აპრილს გაზეთში გამოქვეყნებული, წერილის ავტორთან, ბატონ გია ბოჭორიშვილთან, ამავე გაზეთში ჩემს მიერ დადებული პირობის თანახმად, შეკამათებას საჭიროდ არ ვთვლი. მიუხედავად იმისა, რომ მასზე პასუხსაგები, საკმაოდ ვრცელი და არგუმენტირებული წერილი მზად მაქვს.

საჭიროდ არ ვთვლი, ვეკამათო პიროვნებას, რომელიც თავისი უადგილო, გაუაზრებელი და მასზე გადაღებული კომედიური ფილმის "მაიტა ნასოსია" და ასევე, ქართული გამონათქვამის პერიფრაზა რომ ვიხმარო, "შენი არ იცოდე და ღმერთმა სხვისი არ გაგაგონოსო", პერსონაჟს მაგონებს.

ბორის ფოცხვერაშვილი

ვეტერანებს ღირსეულად დაუფასდათ ამაგი

ლევან გაბეჩავა

მაისის წვიმას ხელი არ შეუშლია იმ ადამიანთათვის, მეორე მსოფლიო ომის დასრულების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში რომ უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ომის ვეტერანთაგან პირველი 91 წლის ილია ნადარეიშვილი მოვიდა მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელოვანთა დარბაზში, კავკასიონის მისადგომებთან ვიბრძოდიო, გაიხსენა ნაომარმა ვაჟკაცმა და ღმერთს ხანგრძლივი სიცოცხლისათვის მადლობა უთხრა. ამასობაში 93 წლის ავთანდილ გალდავა, 91 წლის რევაზ კანდელაკი, 93 წლის დავით კიწმარიშვილიც მოვიდნენ და...

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორი ვეფხია ნადირაძე თბილად მიესალმა ვეტერანებს და სიტყვა მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას გადასცა.

_ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო ვეტერანებო, თავგანწირვისათვის, გმირობისათვის, რომელიც თქვენ და ათასობით მებრძოლმა გამოიჩინეთ ფაშიზმისაგან კაცობრიობის გათავისუფლების საქმეში. _ აღნიშნა გამგებელმა.

_ გამარჯვების 70-ე წლისთავს გილოცავთ, თითოეულმა თქვენგანმა დიდი წვლილი შეიტანეთ ფაშიზმის დამარცხებაში, წალეკვით რომ ემუქრებოდა მსოფლიოს, ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ, ძვირფასო ვეტერანებო, ასე მიესალმა ვეტერანებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური.

_ ვეტერანთა სახელით ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას უღრმესი მადლობა მოახსენა ვეტერანთა ამაგის ჯეროვნად დაფასებისათვის და საბრძოლო ეპიზოდები გაიხსენა ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირის თავმჯდომარემ, რევაზ კანდელაკმა.

მსახიობ გია სტურუას, საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის დავით კოპალეიშვილისა და მხატვრული კოლექტივების მონაწილეობით სადღესასწაულო კონცერტი გაიმართა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ მთავრობის სახელით გამარჯვების 70-ე წლისთავის აღსანიშნავად ვეტერანებს საიუბილეო მედლები გადასცა.

ვეტერანებმა, დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს შინმოუსვლელის დედის ძეგლი. სოლიდური ასაკის გამო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ რამდენიმე ვეტერანმა შეძლო მონაწილეობის მიღება, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები თითოეულ ვეტერანს ხელდამშვენებულები, კეთილი სურვილებით ოჯახებში ეწვივნენ. პირველად ახლახან გარდაცვლილი ალექსანდრე სტურუას ოჯახში მივიდნენ სტუმრები და ოჯახს ვეტერანთათვის დაწესებული ფულადი ჯილდო და საიუბილეო მედალი გადასცეს.

ომის ვეტერანები: გრიგოლ ხაჟალია, მიხეილ ბახტაძე, ავთანდილ ლეჟავა, ბენიამინ სტურუა, ვალიდა გელაზონია, იაკობ კალაძე, ამბროსი ჟორჟოლიანი, ანა თავაძე სიხარულით შეეგებნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ლიზა კრავეიშვილს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, კობა ძიძიგურს, გამგეობის სამსახურების უფროსებს ლევან ახობაძეს, დავით ბაღდავაძეს. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს მანანა სირბილაძეს, ფრაქციის თავმჯდომარეს ტარიელ დვალიშვილს, გამგებლის წარმომადგენელს ქალაქ სამტრედიაში თენგიზ ცაგურიას, ტარიელ თვალავაძეს.

ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაგვხვდნენ ბატონები იაკობ კალაძე და ამბროსი ჟორჟოლიანი, კომუნისტების შემდეგ ამგვარად არავის დავუფასებივართო, განაცხადეს მათ. ბატონმა ამბროსიმ, ტრადიციულად იმღერა კიდეც და სტუმრებს სახელდახელოდ გაშლილ მაგიდასთან ომახიანად შესთავაზა სადღეგრძელოები.

_ საოცრად მოსაფერებლები, დასაფასებლები არიან ეს ადამიანები, მინდა, თითოეულს ხანგრძლივი სიცოცხლე, ბედნიერება, ჯანმრთელობა ვუსურვო, სამადლობელს არ იშურებდა ამაგდარი ადამიანების მისამართით ქალბატონი ლიზა კრავეიშვილი, რომელმაც რამდენიმე ვეტერანს საიუბილეო მედალი საკუთარი ხელით დააბნია.

_ შეუფასებელია ამ ადამიანთა ღვაწლი, თავგანწირვა, მადლობა ვეტერანებს, მშვიდ ხანდაზმულობის წლებს ვუსურვებ მათ. _ აღნიშნა თენგიზ ცაგურიამ.

დაბოლოს, წლევანდელი 9 მაისი არ ჰგავდა გასულ 9 მაისებს, სამწუხაროა ის, რომ ვეტერანთა რიგები, გასაგები მიზეზების გამო, ძალიან შეთხელდა. უდავოდ მისასალმებელია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილება ვეტერანთათვის ღვაწლის სათანადოდ დაფასებით რომ გამოიხატა.

წელს საქართველოში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის ყოველი მონაწილე ცენტრალური ხელისუფლებისაგან 1000 ლარითა და საიუბილეო მედლით დაჯილდოვდა. ადგილობრივი ხელისუფლების სახელით კი, თითოეულს 400 ლარი და 100 ლარის ღირებულების ამანათი გადაეცათ.

ნახვამდის, გაისადაც მოვალთ, ყოჩაღად დაგვხვდით! _ სტუმართა სახელით თბილად ემშვიდობებოდა ვეტერანებს ლიზა კრავეიშვილი.

9 მაისს ვეტერანებს ღირსეულად დაუფასდათ ამაგი.

„ვეტერანები ხელისუფლებისგან უფრო მეტსაც იმსახურებენ"

ნინო ნანიტაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად ვიდრე გეზს ნაბაკევის თემისაკენ აიღებდა, მანამდე ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირის ოფისისკენ გაემართა. დავით ბახტაძემ რევაზ კანდელაკი და ალექსანდრე ბანძავა არ გააწბილა: ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავი ვეტერანებს ჭიქა შამპანურით სწორედ მათ სამუშაო ოთახში დაულოცა. ჩვენ იქვე შევიტყვეთ, რომ დღის ძირითადი მასპინძელი თამაზ ნინუა გახლდათ. ვეტერანთა რაიონული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარის, სულიკო ნინუას ვაჟს ძლივს წამოვაცდენინეთ, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, იგი ბოლო წლებია, ვეტერანებთან შესახვედრად 9 მაისს ტრადიციულად მოდის, ოჯახიდან მოაქვს სასმელი, ტკბილეული და იმ დღეს ყველა ვეტერანს საკუთარი ტრანსპორტით ემსახურება. რამდენიმე საათს მამის ძველ მეგობრებთან ერთად ატარებს. ყვავილებით ამკობს შინმოუსვლელი ჯარისკაცის ძეგლს.

თამაზ ნინუა: "მამა 12 წელი ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე იყო. 9 მაისი მისთვისაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენდა. იმას, რასაც სულიკო ნინუა წლების მანძილზე აკეთებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მე ვაგრძელებ. ეს ადამიანები ყველა ჩვენგანიდან ზრუნვას, სიყვარულსა და სითბოს იმსახურებენ".

ამაში გასაკვირი არაფერია, დიდი სამამულო ომის ვეტერანები 9 მაისის დილის გათენებას ემოციურად ელოდებიან. გამონაკლისს არც 2015 წლის 9 მაისი წარმოადგენდა. უფრო მეტიც, მათ რამდენიმე დღით ადრე ჰქონდათ მიღებული ინფორმაცია რომ წელს ვეტერანების მიმართ სახელმწიფო არნახულ გულუხვობას იჩენდა: ცენტრალური ბიუჯეტიდან თითოეულ მათგანს 1000 ლარი, ხოლო ადგილობრივიდან _ 400 ლარი გამოეყო. მუნიციპალიტეტი ვეტერანთა ოჯახებს ასევე 100 ლარის ღირებულების პროდუქტებით ასაჩუქრებდა.

ნინუაკუთხელი 91 წლის ილია ნადარეიშვილი 9 მაისს ქალაქშიც ჩამოვიდა, დედის ძეგლი ყვავილებით შეამკო, ადმინისტრაციულ შენობაში საზეიმო შეხვედრასაც დაესწრო და ნინუაკუთხეში გასულ დავით ბახტაძეს საკუთარ სახლში ერთი ფეხით შეასწრო. შვილიშვილის მეუღლე, მაია ციბრუტივით დაატრიალა, სასურველ სტუმრებს ღირსეულად რომ გამასპინძლებოდნენ. იმ დღეს ჩვენც დავრწმუნდით ომის ქარცეცხლში გამოვლილი დღემდე ინარჩუნებს მხნეობას.

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ნინუაკუთხეში ნადარეიშვილების ოჯახში ოთარ წულეისკირთან და ვაჟა სტურუასთან ერთად მივიდა. დავით ბახტაძემ ომის ვეტერანს ოჯახის წევრების თანდასწრებით საზეიმო ვითარებაში გადასცა საიუბილეო მედალი, ირაკლი ღარიბაშვილის მისალოცი ბარათი, პროდუქტითა და ტკბილეულით სავსე ყუთი.

ორი დღის წინ ნადარეიშვილმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისგან სიგელი მიიღო: "20 აგვისტოს 91 წლის ვხდები და ასეთი სიხარული ომის დამთავრების შემდეგ აღარ მიმიღია. მადლობა ხელისუფლებას ვეტერანების მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისათვის.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ნინუაკუთხიდან ჩხენიშში გადაინაცვლეს. იქ მათ 93 წლის ალექსანდრა ჯულუხიძე ელოდათ. ნაომარ ქალბატონს 11 წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა, რომელიც ომში 1944 წელს გაიცნო და გამარჯვების შემდეგ საქართველოში დაბრუნებულებმა დიდი ოჯახი შექმნეს.

ხელისუფლების მხრიდან გაწეულმა მზრუნველობამ ალექსანდრა ჯულუხიძისა და მისი შვილების გულებიც გაათბო. საპატიო და სასურველ სტუმრებს ქალბატონი ალექსანდრაც მხნედ შეხვდა.

ასე ვერ ვიტყვით გივი რუხაძეზე. ქერჩში ნაომარმა 91 წლის ვეტერანმა ვერ შეძლო ოჯახში მისულებს ფეხზე მდგარი შეხვედროდა. საწოლს მიჯაჭვულს შვილები უვლიან. დავით ბახტაძესთან გამოსაუბრება შეძლო, ახალგაზრდა კაცს ყურადღების გამოჩენისათვის მადლობაც გადაუხადა და გამომშვიდობებისას ხელი მაგრად ჩამოართვა.

9 მაისის დღე პოზიტიურად დავასრულეთ. გამგებლის წარმომადგენელმა თამაზ გაბელაიამ გვითხრა, რომ ღანირში 93 წლის ავთანდილ გალდავა გველოდა. ჩვენი შეხვედრა სოფლის მემორიალურ დაფასთან შედგა, რომელიც ოფიციალურმა პირებმა ყვავილებით შეამკეს. ამ მეორიალურ დაფასთან 9 მაისის დილით ბატონი ავთანდილი ყველაზე ადრე მივიდა, რადგან იქ მას ომში დაღუპულ სხვა თანასოფლელებთან ერთად ორი ძმის, ჭიჭიკოსა და შოთას სურათები "ელოდა". 1945 წლის 9 მაისი მან დეტალურად გაიხსენა: გამარჯვების დღეს კენისბერგში შევხდი. ჩემი სოფლიდან ომში 800 ველი მოადგილე არ არის ინფორმირებული, მეზობელ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივმა ბიუჯეტმა საცხრამაისოდ რა თანხა გამოჰყო. სამტრედიის მუნიციპალიტეტს რაც შეეხება, დავით ბახტაძე თვლის, რომ ვეტერანები ხელისუფლებისგან უფრო მეტსაც იმსახურებენ: "ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივა იყო დიდი სამამაულო ომის ვეტერანებს დღევანდელი დღე განსაკუთრებული ჰქონოდათ. საიუბილეო თარიღია და გვინდოდა მათთვის გამორჩეულად დაგვემახსოვრებინა ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავი. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ვეტერანების რიცხვი თანდათან მცირდება. ვისურვებდი, მხნეობა და ჯანმრთელობა არც მომავალში მოჰკლებოდეთ. თითოეული ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ მსგავსი ღონისძიებები არ იქნება ერთჯერადი, მაინცდამაინც 9 მაისისადმი მიძღვნილი. იმედი მაქვს, წლის განმავლობაში სხვა დღეებშიც და მომდევნო წლებშიც გამოიჩენს სახელმწიფო ჩვენი გმირების მიმართ სათანადო ყურადღებას".

"ახალგაზრდა წავიდა და შინ მხოლოდ 350 დაბრუნდა. დღესდღეობით მე ვარ ცოცხალი და მოვალე _ ამ ბიჭების ნათელ ხსოვნას პატივი მივაგო. არავის მივცემ უფლებას, მათი გმირობა დავიწყებას მისცენ. ნურავის ეწყინება, თუ ვიტყვი, ნაომარ ხალხს დაფასება კომუნისტების დროს ჰქონდა, მას შემდეგ წლევანდელი წელია განსაკუთრებული, ასეთი ყურადღება არასდროს მიგვიღია, მადლობა დღევანდელ ხელისუფლებას იმისთვის, რომ თავი ისევ ღირსეულ ადამიანებად გვაგრძნობინა".

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ამბობს: "ეს ადამიანები ომიანობას, ტანჯვას, ტკივილებს, ბევრ ბოროტებას, ბევრ ავადმყოფობას, ბევრ ტანჯვას, ბევრ

იმერეთის იმერეთობით ჟუთაისობდა ჟუთაისი

თეა ბაბუნაშვილი

აფეთქებული კვირტი ვარდობისთვის ორში გაზაფხულად ელამუნებოდა ქალაქს, ჯერ ისევ ძველ დიდებად რომ დაჭყურებს ბაგრატის ტაძარი და აიადან ქუთაისამდე თვლის საუკუნეების ნატერფალებს. წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ქარს დადევნებული "უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ.." სავარდო და სამაისოში იმერეთს უყრის თავს. ხსოვნას გაყვითლებული სიზმარივით შემორჩენია ვარდის ფერით დახატული ქალაქის ხიბლი, "ცისფერყანწელები" ცისფერი ყანწებით, აკაკი, გალაკტიონი და ტიციანი მიხაკით გულზე, სატრფიალო ფრაზებს ყურში სიყვარულით რომ ჩასჩურჩულებენ. ბაღის კიდეზე მადლიანობდა გულყვითელა გვირილები და მზის ფუნჯით დახატული ქუთაისი იმერულად შლიდა მხრებს ბალახვანში, მწვანეყვავილაზე თუ მუხნარის ტყეში. თეთრი ხიდის არტახებში მობუბუნე რიონის ნაპირს ისევ ესმოდა "ინ პრედუზო, მედუზო... ესაა პიკასოს ბიჭი?!"

ისევ ორი მაისი და მასპინძელი მუხნარის ტყე მხრებგაშლილ, გულგაშლილ იმერეთს იტევდა და არა მხოლოდ საყველპუროდ, სიყვარულისა და ძმობის ზეობისთვის. მუხების ჩრდილში გაშლილი სუფრები საკუთარი კუთხეების ლაზათს უნაწილებდნენ სტუმარს თუ მასპინძელს. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ პირველი და ვინ მეორე, ვინ მეტად და ვინ ნაკლებად, ყველა ერთნაირად იწონებდა თავს და კეთილი გულით ეპატიჟებოდა დიდსა თუ პატარას. იმერეთი ქუთაისში ზეიმობდა დღესასწაულს, თავის დროზე ქუთაისობად რომ ჩაიფიქრეს და ბოლო რამდენიმე წელია, მთელი იმერეთის დღესასწაულად იქცა.

გვირილებით სავსე კალათას ჭლექიანების დასახმარებლად ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან დაჰქონდა იმედისა და თანადგომის სურნელი ქუთაისში. ჟურნალისტი, ამჯერად სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელი, ნანული ცხვედიანი აზუსტებს, რომ "ქუთაისობის დღესასწაული ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში წამოვიდა საბერძნეთიდან. მე-20 საუკუნის დასაწყისში ტრადიციად დამკვიდრდა ქუთაისში. შემდეგ იგი აღადგინეს მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში. გვირილობის დღესასწაულს რაც შეეხება, იგი ბოლო 2-3 წელია, რაც აღდგა. თუმცა, თავიდან მაისობის დღესასწაულთან შეხება არ ჰქონია. ისიც შემოტანილი დღესასწაულია და კარგად მიიღო ქუთაისმა. მას საქველმოქმედო დატვირთვა ჰქონდა და 1909-1912 წლებში იმართებოდა. ჭლექიანთა დასახმარებლად ბანოვანი ქალბატონები და გიმნაზისტი გოგონები აწყობდნენ. ბოლო წლებში, რატომღაც, ეს ორი სხვადასხვა დღესასწაული გაერთიანეს. ამიტომ, როცა ჟურნალისტები თუ ხელისუფლება რაიმე ინიციატივას იჩენს, უნდა დაეკითხონ ისტორიკოსებს და იმ ადამიანებს, ვინც კომპეტენტურნი არიან ასეთ საკითხებში. ასეა თუ ისე, ძალიან კარგია მასობრივი ღონისძიებები რომ ეწყობა. მუხნარის ტყეში გამართულ სანახაობას ყველა მათგანზე განსაკუთრებული ხიბლი აქვს."

სხვათა შორის, ქალბატონი ნანული სამტრედიელების რძალი გახლავთ და ალბათ ამიტომაც, სამტრედიელების სუფრასთან განსაკუთრებული სითბო გამოხატა. ჩოხა და მობილური ერთად არ შეიძლებაო, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, გოჩა ბაკურაძემ და რამდენიმე ზარი უპასუხოდ დატოვა. სამაგიეროდ, წითელი ღვინით ადღეგრძელა სამტრედიაც და ქართული სუფრის ლაზათიც. სტუმარს, დამთვალიერებელს, ტურისტებს _ ყველას ყველგან მასპინძლობდნენ და ყველა აღნიშნავდა, რომ სამტრედე ქალაქში განსაკუთრებულად სცოდნიათ მასპინძლობა, ეს მათ სუფრასაც ეტყობაო. კალმიკის მერი ყაზახეთიდან ყველათი და ყველაფრით აღფრთოვანებული, წითელი ღვინით სვამდა სამტრედიისა და საქართველოს საღღეგრძელოს. იმ სამტრედიელებზე საუბრობდა, მათ ქალაქში რომ ცხოვრობენ და საკუთარ ხალხსა და სამშობლოს კარგი ადამიანობით აცნობენ მათ.

თავი სამტრედიაში მგონიაო, მაკა სოხაძემ. განსაკუთრებით დიდი დრო სწორედ სამტრედიელების სუფრასთან დაჰყო იმერეთის გუბერნატორის მეუღლემ, რადგან მისი მეუღლის დედულეთი სოფელი ეწერია, აქ შინაურივით ვარო_ გვითხრა.

და ალბათ ყველაზე საპატიო სტუმრები იმ დღისა და იმ სუფრისა, ბაგრატიონთა შთამომავალი იოანე ბაგრატიონი და მისი ქუთაისელი მეუღლე, ქრისტინე ძიძიგური იყვნენ. სამტრედიელები განსაკუთრებით გაახარა იმან, რომ იოანე ბაგრატიონიც სამტრედიელების სიძე აღმოჩნდა, რადგან მისი მეუღლის დედა, ლალი ვაშაკიძე დიდი ჯიხაიშიდან გახლავთ. ქრისტინე დიდ ჯიხაიშში, ბებიასთან გატარებულ ბავშვობას იხსენებდა და უცხოეთში მცხოვრები მეუღლის საქართველოთი და იმერეთით აღფრთოვანებაზე საუბრობდა.

იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ ბოლო, გემრიელ ლუკმად მოიტოვა სამტრედიელების სუფრა. დედულეთში ვარო, თქვა. და სასმისი საქართველოსა და იმერეთის სადღეგრძელოსთან ერთად სამტრედიის დალოცვითაც დაიცალა. მასთან ერთად საკუთარი კუთხე და ქალაქი გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ, მისმა მოადგილეებმა, გამგეობის სამსახურის უფროსებმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ და მისმა მოადგილე კობა ძიძიგურმაც ადღეგრძელეს. ორშიმოდან ჭინჭილებსა და ფიალებში ჩამოსხმული ტოლებში, ოფეთსა თუ სხვა სოფლებში დაწურული ღვინო იმ დღის განწყობას განსაკუთრებულს ხდიდა.

მუხის ჩრდილებში სხვადასხვა ჰანგი ეხმიანებოდა ერთმანეთს. არღანს ამღერებდა სამტრედიელი გელა კოპალეინაძე და ყვითელი, სამტრედიული დედლით. ეს სოფლებიდან ჩამოტანილი ნობათი გახლდათ, განსაკუთრებით გემრიელი და მადის აღმძვრელი. ტოლების სკოლის პედაგოგმა ნათელა ბრეგაძემ სახელდახელოდ კეცის მჭადებიც კი დააცხო. კულტურული ნაწილი იმდღევანდელი წარდგენისა კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო. სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე ყველა თანამშრომელს მადლობას უხდიდა მონდომებისთვის და აღნიშნავდა, რომ "ეს გახლდათ იდეების ნაზავი. ვეცადეთ, ორიგინალურები ვყოფილიყავით. მგონი, გამოგვივიდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში, ამაზე იმ დღეს ბევრი სტუმარი საუბრობდა."

თუმცა, არა მარტო კულტურულმა სანახაობამ და იმერულ-ევროპულად გაშლილმა სუფრამ, იმ დღის ორიგინალურობა ჩვენი გაზეთის ახალგაზრდა კარიკატურისტი, შოთა პაპავაც იყო თავისი ნამუშევრებით, სახელდახელოდ, როგორც დღეს იტყვიან, "ლაივში" რომ ხატავდა. ბევრი, და განსაკუთრებით გუბერნატორი გულიანად გააცინა საკუთარმა კარიკატურამ, რომელიც შოთიკომ სამახსოვროდ გადასცა.

ბავშვების რიგი ედგა გამგეობის თანამშრომელ ნანა ფოცხვერიას. იგი მათ ფერადი საღებავებით სახეს უხატავდა და ე.წ. "ტატუს" უკეთებდა. მსურველი იმდენად ბევრი აღმოჩნდა, იძულებული გახდნენ, ჩანაფიქრში ეს უფასო საქმე, ფასიანი გაეხადათ. ასე მოგროვილი თანხა კი მან ქველმოქმედებას მოახმარა და იგი 12 წლის ნანიკო ტორონჯაძეს გადასცა, რომელსაც რეგულარულად სჭირდება ძვირადღირებული სამკურნალო კურსის ჩატარება.

ასე, იმერეთის იმერეთობით ქუთაისობდა ქუთაისი. მიუხედავად იმისა, რომ გულს ეკლად ესობოდა მოძალებული გამოწვდილი ხელი "დამეხმარეთი", ფიქრებში ეკალში ობოლ ვარდად "ამოსულიყო" უაფხაზეთოდ და უსამაჩაბლოდ "სულიკოსავით" გულამოსკვნილი სამშობლო, იმედი ლაზათიანი "რანუნით" სწვდებოდა ცას, მომავალ ბედნიერ საქართველოში ბედნიერი ქუთაისის და იმერეთის ხიბლით.

ჩემი ხატია სამშობლო

იყავ ბულბული, მეფე იყავ და ორფეოსი,
შენი სიმღერა ლოცვა იყო საქართველოსი.
მურმან ლეგბანიძე

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე წლისთავს მიეძღვნა 30 აპრილს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გამართული კიდევ ერთი ღამაზი ღონისძიება, რომლის ინიციატორებიც იყვნენ ღანირის საჯარო სკოლა, ღანირის სასოფლო ბიბლიოთეკა და, რაღა თქმა უნდა, თავად მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, ქალბატონმა მზია ჩიხლაძემ შეკრებილთ ბიბლიოთეკის კვირეულის პროგრამა გააცნო და მადლობა უთხრა ღანირელ პედაგოგებს, მოსწავლეებს მობრძანებისათვის.

ღანირის სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი, ქალბატონი ლეილა ოდილავაძე სამომავლო გეგმებზე ესაუბრა დამსწრეთ.

"მომავალი ჩვენია", _ ასე ჰქვია ღანირის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბს, რომელსაც პედაგოგი იამზე ყურაშვილი ხელმძღვანელობს. სწორედ ამ კლუბის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ამჯერად ამ ღონისძიებაში, რომლის მომზადებაშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართულის მასწავლებელმა ხათუნა გალდავამ და მუსიკის მასწავლებელმა ლიანა მიქაძემ.

მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გვამოგზაურეს აკაკი წერეთლის პოეტურ სამყაროში, გააცოცხლეს გმირები მისი ნაწარმოებებიდან, შესრულდა ხალხური სიმღერები. საკუთარი ლექსი წაიკითხა სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე კახა ჩადუნელმა.

კეთილი რჩევა გვინდა მივცეთ ღანირელ მოსწავლეებს _ ნამდვილად იმსახურებს საქართველოს ბულბული, აკაკი წერეთელი იმას, რომ მისი პოეტური მარგალიტები ღონისძიებებზე ზეპირად გადმოსცენ.

ლევან გაბეჩავა

აღვაშენეთ ნებითა ღვთისათა

თეა ბაბუნაშვილი

ნისლში გახვეული ზანდოს მთის ფერდობს შეფენილი მრევლი გიორგობის დილას ფეხით მიუყვებოდა აღმართს. სასწაულმოქმედი ტაძრის ეზოში მწირველი შესაწირით, ლოცვით ევედრებოდა წმინდანს ძლიერებას ქვეყნისას და ოჯახისას. ადრე დილამდე სწირავდა ბერმონაზონი მამა ნაზარი (ფახურიძე).

მეთორმეტე საუკუნიდან მოიხსენიება წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელზე აგებული ეს ეკლესია ისტორიულ წყაროებში. საერთოდ ამ კუთხეს, საჯავახოს შემოგარენს ვიდრე გამოჩინებულამდე, დიდი ვნებათაღელვა აკავშირებს საქართველოს ისტორიასთან. წმინდანის სახელზე აგებული ეს სალოცავი ოდითგანვე ყოფილა მონასტრული ცხოვრების, უფრო მეტიც, კულტურის კერა ამ და არა მარტო ამ შემოგარენისა. "ქ. ეჰა შენ უძლეველო მხედარო უფლისაო, დიდო მოწამეო გიორგი, შეიწყალე ფრიად ცოდვილი ერისთავის შვილი ქრისტეფორე განმაახლებელი საყდრისა ამის, რომელმან მეორედ იერუსალიმში წარვიდა და აღესრულა." "ქ. მოიხსენენ, წმიდაო, გიორგ, დავით უსტა და მოწაფენი მისნი. აღვაშენეთ ნებითა ღვთისათა." "მოიხსენევი აზნაური გამოჩინებულის (კანდელაკი გიორგის, ლაზარეს) ნიკოლოზის ძენი (ქორიძენი)" ასომთავრულით და მხედრულით ამოტვიფრული ეს წარწერები ჯერ ისევ შემორჩენია კედლებს.

კომუნისტების მიერ იავარქმნილ ტაძარს ხონი-სამტრედიის მიტროპოლიტის, მეუფე საბას კურთხევითა და საქართველოს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს პროექტით, რომელიც ფონდმა "ქართუ" დააფინანსა, რესტავრაცია ჩაუტარდა და დღეს იგი მოქმედია.

ყოველ გიორგობას განსაკუთრებული ხალხმრავლობაა ამ ეზოში. ახლაც გაჭირდა შიგ შესვლა, სანთლების შუქით განათებულ ხატებს მლოცველი ეტანებოდა.

ცხენი ჭენებით კეცავდა აღმართს. ჩოხაშემოსილმა მიაგელვა ტაძრის ეზოს ღობესთან და დაქვეითდა. სამტრედიელი კობა კიკაჩეიშვილი აღმოჩნდა იგი, მის სახელზე შეწირული ხატი გულზე ყდებოდათ დასაოჯახებელ ბიჭებს, აქაურობასაც, ისე როგორც სოფლების უმრავლესობას დაკარიელებულს, კერას მიტოვებულს რომ ხედავდნენ. "უნდა დაბრუნდნენ, მიუხედავად სიდუხჭირისა, მთრომ მიეკრა და 9 წლის ასაკიდან ყოველ წელს რომ ამოდის აქ მოსალოცად. ვისურვებდი, გაისად უფრო მეტი მენახა მრევლიც და ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ვაჟკაციცო _ დააგდო სიტყვა.

ძმები შალვა და რამაზ ჩაჩუები კეთილაურიდან ამოსულიყვნენ. გული სწავრობის მხრიდან ნაკლები ყურადღებისა. ძნელია იყო სადმე და იცოდე, შენი ფუძე ელოდება, კვლავ როდის ააჭრიალებ კარს და გააღებ სარკმელს."_ გვითხრეს.

სხვებთან ერთად ოთარ ელიაძის ოჯახმაც შესწირა ბატკანი ინვალიდი შვილის საჯანმრთელოდ. იმედს ისევ არ კარგავს დედა_ გამოჯანმრთელდებაო ჩემი ბიჭი!

შვილის სულის საცხონებლად და სალოცავად აქ ხშირად არიან გივი კვანტალიანი და მისი მეუღლე. და კიდევ ბევრი, თანდათან რომ ემატებოდნენ მომლოცველებს.

ძველთაძველი საფლავები ხავსმოდებული ქვის სვეტებითა და ჯვრებით გარდასულ საუკუნეთა მონათხრობად შერჩენია ტაძრის ეზოს. სანთლის ალით გაშავებულ კედლებში სალოცავად შესული ფიქრით თვალშეუდგამ მატიანეს ბაწარივით ჩაჰყვები იქ, ათასწლეულების დასაწყისში და წინაპრების ყიჟინას უსმენ, რწმენით და შრომით რომ ებრძოდა საუკუნეებს დღევანდელობისთვის.

უკან მობრუნებულებს ბზად მოხუცი შემოგვეყარა, თავდახრილი, ნელა მიუყვებოდა აღმართს. ფიქრი იყო მისი მეგზური და გონებაში უკვე იცოდა, რას შესთხოვდა წმინდა გიორგის, იმ ტაძრამდე, ფეხით რომ ავიდოდა! იმ ბზას ტაძრამდე მიყავდი! ბზის ბოლოს კი, ალბათ, სანთელის ალს ააყოლებდი: "ისე ვილოცე, უფალო, როგორც შევძელი!"

ხომ შედიხარ?!

თეა ბაბუნაშვილი

წლები კი არა, უკვე საუკუნეებია ილორის შუკებსა და ორღობეებს ექვსი მაისის გიორგობას შებინდებიდან ზოგჯერ გამთენიამდეც ლელოობის ქარიშხალი გადაუვლის. თუმცა, უკვე შუკა და ორღობე ნაკლებად, მაგრამ ტრადიცია ისევ გრძელდებაო, _ უხარია სოფელში დიდსა და პატარას. და ისიც გრძელდება თუნდაც იმიტომაც, რომ ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები მირზა ნიკოლეიშვილი ყოველ 6 მაისს ურეკავს თავის 15 წლის ვაჟს, საბას, ლელოზე ხომ მიდიხარო. მეტიც, წელს წინა წლებთან შედარებით თვალშისაცემი იყო ახალგაზრდების სიმრავლე. იმდენად ახალგაზრდებისა, ასაკოვნებს ეჭვიც რომ შეეპარათ, ბავშვები არიან, ამათ რა უნდა ითამაშონო. "ხომ შედიხარ?!"_ ასე მოკლედ გადასძახებდნენ ერთმანეთს და ძველმანებში გამოწყობილები იმ ჭადრების ჩრდილქვეშ ქუჩდებოდნენ, ბევრი წელია, რომ გულშემატკივრობს უძველეს ილორს, რომლის ისტორიაც ოდესღაც აფხაზეთის ილორიდან გამოქცეულების დასახლებით იწყება, წმინდა გიორგისთვის აგებული სალოცავის ირგვლივ გაჩაღებული კერიდან.



ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

მერე საუკუნეებმა ბევრი ახალი დააძველა, მათ შორის ლელოს დადების ტრადიციაც, მაგრამ სანამ ილორში ლელო ავარდება... "მანამდე არ დავიკარგებით, არ გადავშენდებით და რაც მთავარია, არ გადავსხვაფერდებით, შვილო", _ გვითხრა მოხუცმა, ჩემი სახელი ვიღას სჭირდებაო, რომ შემოგვღიმილა და ხალხს შეერია.

სამაგიეროდ, ის გავიგეთ, წელს ბურთი რომ ედგარ თევზაძეს შეუკერავს, 12 კილო რომ ყოფილა. შიგ შავი ღვინის ჩასხმაც რომ არ დავიწყნიათ, რადგან ესეც წესია. გამარჯვებისთვის მზად რომ არიან, ეს თავისთავად! თავად ბურთის შემკერავი კი მეხუთე კლასიდან შედის ლელოში. წელსაც მიაშველებს ძალას სოფელს.

არადა, წელსაც ჩვენი იქნებაო, _ შარშანდელის შემდეგ ლელოს დათმობას არ ეპირებოდნენ ხუნჯულაურლები. იმასაც დასძენდნენ, ერთ დღეს მხოლოდ, თორემ საჩხუბარი და გასაყოფი ამ ბურთის გარდა არაფერი გვაქვსო ილორთან.

კურიოზები? თამაშს ყოველთვის კურიოზები მოჰყვება და მოსაყოლიც ბევრი ჰქონდათ იქაურ მოხუცებს თუ ახალგაზრდებს, მაგრამ ამაზე მერე, გაშლილ სუფრასთანო, _ გვითხრეს.

საბურთაოდ ჩამოსულ ხუნჯულაურლებს გადასძახეს, რაღას ელოდებითო. როგორც ხდება ხოლმე, პატარა გაუგებრობაც ჰქონდათ დაწყებამდე, მაგრამ მეზობლებს შორის ყველა გაუგებრობა გაგებით მთავრდება და იმათაც, ბიჭები ვართ და მოვდივართ, ბიჭები ხართ და დაგვხვდითო. ბურთიც ავარდა და სტვენა, შეძახილები და ღრიანცელი მოედო ცხენისწყლის ჭალას.

ღამემ თავისა ჰქნა. უკვე ბნელს კვეთდა გულშემატკივარი დედების, ცოლებისა და შვილების შეძახილები.

სტუმარი განსაკუთრებული ჰყავდა ლელოობას ილორს. საქართველოს ლელოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დავით კილასონია ლელოობურთის ტრადიციებსა და მის ისტორიაზე ჰყვებოდა. როგორც გავარკვიეთ, დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში ლელოს ფედერაცია ჩამოყალიბდა და თავდაცვის სამინისტროს თანადგომით ცდილობენ, მისი აღორძინება დაიწყონ. თავდაცვის სამინისტრო იმიტომ, რომ ფედერაციის პრეზიდენტი გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე გახლავთ. "ჩვენ ყოფილი მორაგბეები ვართ. ეს თამაშები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. დღეს აქ ჩამოვედი, შუხუთშიც გახლდით, როცა მათი ტრადიციით იქ ვარდება ლელო. იგი ეროვნული საგანძურის ნუსხაშიც შევიტანეთ. ყველა ქვეყანა უვლის თავის ეროვნული სპორტის სახეობებს. საქართველოში კი ცოტა

მივიწყებული იყო. თავის დროზე ჰქონდა სპარტაკიადის სახე. მაშინ მე გახლდით საქართველოს ლელოსა და რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი. იგი სახალხო თამაშის სახითაც უნდა დარჩეს და სპორტული თამაშის დატვირთვაც უნდა ჰქონდეს."_ გვითხრა დავით კილასონიამ და ისიც შეგვახსენა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი გიორგი კახიანი ყოფილი მორაგბე და იმერეთის ლელოს ფედერაციის პრეზიდენტი რომ არის.

ბატონი დავითისგან შევიტყვეთ, რომ საქართველოში პირველად ლელოს ჩემპიონატი 1945 წელს დაიწყო. პროფესიონალურ ლელოში ბურთი 5-6 კილოს არ აღემატება. "ის, რასაც ახლა ვუყურებთ, უბრალოდ, სახალხო თამაშია, ძალის გამოცდა, ძალით მიწოლაა მხოლოდ. პროფესიონალური, ანუ მოედანზე სათამაშო ლელო გაცილებით უკეთესი საყურებელია."

წესები თითქმის ერთნაირი ჰქონია რაგბსა და ლელოს. "მორაგბეები ვხუმრობთ, ინგლისელი ფეხბურთელები რომ ჩამოვიდნენ ფოთში, ჩვენ ფეხბურთი გვასწავლეს, ჩვენგან კი ლელო ისწავლეს და რაგბად გადააკეთეს-თქო. ამის დამტკიცება რთულია, მაგრამ ფაქტი, რომ ლელო დაახლოებით 3 ათასი წლისაა, რაგბი კი _ 200-ის. გენეტიკას დიდი ძალა აქვს და ამიტომაცაა, რომ საქართველოში დღეს სპორტის ორი წამყვანი სახეობაა _ რაგბი და ჭიდაობა."

ფედერაციის პრეზიდენტს პასუხი იმ კითხვაზეც აქვს, თუ როგორ მოხდა, რომ ამხელა ისტორიის მქონე სპორტის სახეობის ფედერაცია საქართველოში ახლახან შეიქმნა და მისი აღორძინება ახლა იწყება. ეს იმიტომ, რომ კომუნისტების მმართველობისას ფედერაციების ნაცვლად სპორტკომიტეტები ფუნქციონირებდა და საქართველოს სპარტაკიადაში იყო შეტანილი ერთ-ერთ სახეობად. დავით კილასონია თავადაც ატარებდა ამ სპარტაკიადას და ახსოვს, ერთ-ერთ ფინალში მარტვილი და ჩოხატაური რომ შეხვდნენ ერთმანეთს.

მისგან ისიც შევიტყვეთ, რომ ლელოში ჩემპიონი დიდი ჯიხაიშის გუნდი გახდა 1945 წელს. მას შემდეგ მრავალგზის იყო ეს ნაკრები ჩემპიონიც და პრიზიორიც. ლელოს წესები 1924 წლის შემდეგ 1945 წელს დაიწერა და მისი ავტორი დიდი ჯიხაიშის მკვიდრი ჯონი ვაშაკიძე გახლდათ. იგი სამტრედიაში სპორტკომიტეტის თავმჯდომარედაც მუშაობდა.

ნაბაკევის დეპუტატი ვაჟა სტურუა გამარჯვების იმედით გულშემატკივრობდა ხუნჯულაურლებს, როგორც ნაბაკევის თემში შემავალი სოფლის წარმომადგენლებს._"შარშან ხუნჯულაურმა და ნაბაკევმა ერთობლივი ძალებით მოახერხეს ბურთი დარჩენოდათ. ნაადგომევს ლელო ჩვენთანაც იმართება. მაშინ კი ეს ორი სოფელი თავად ერკინება ერთმანეთს. თუმცა, ილორლების წინააღმდეგ ერთადაც გამოდიან. კარგია, რომ ტრადიცია გრძელდება და მას ახალგაზრდები მომავალ თაობებს გადავცემთ."

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ გიორგობის მილოცვას მოაყოლა: " სასიხარულოა, რომ ტრადიციები გრძელდება. ჩვენი მოვალეობაა, ხელი შევუწყოთ ამას. ჩემს სოფელში, ეწერში ელიობის აღნიშვნის ტრადიცია გვაქვს. საერთოდ, ჯიშის, გენის გადაშენება-არგადაშენება მარტო ტრადიციების შენარჩუნებაზე არ არის დამოკიდებული, რა თქმა უნდა, მაგრამ ესეც ერთი ძირითადი ნაწილია მისი სიძლიერისა. ღმერთმა ჰქნას, ჩვენს ტრადიციებთან ერთად გავძლიერდეთ და ძველს ბევრი ახალიც შევმატოთ."

და ტრადიციულად გამარჯვებული მხარე ლელოს ბურთს სოფელში გარდაცვლილი ახალგაზრდის საფლავზე დებს. წელს ილორმა სძლია ხუნჯულაურს და ბურთი კუსა გრიგოლიას საფლავზე დაიდო, რომელიც ლელოს თავგადაკლული მოთამაშე გახლდათ. დავით კილასონიას მიერ ჩამოტანილი, გამარჯვებულისთვის განკუთვნილი პრიზი და ფულადი ჯილდო 100 ლარი კი მის ოჯახსა და მეუღლეს გადასცეს, რომელიც ფეხმძიმედ დარჩა გარდაცვლილ ახალგაზრდას. . იგი მათ გამგებლის წარმომადგენელმა ქალაქ სამტრედიაში, თენგო ცაგურიამ გადასცა.

წელს შუხუთის მსგავსად სამტრედიაშიც მოხდა ლელოობას არასასიამოვნო ინციდენტი. გურიის მსგავსი ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ თამაშისას ახალგაზრდა გიორგი გოლიაკი მძიმედ დაშავდა. ასე რომ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ის ღამე ადგილობრივ სამედიცინო ცენტრში გაატარეს, სადაც დახმარება აღმოუჩინეს დაშავებულს.

ეს გიორგობაც ლელოთი იზეიმეს ილორში. ასე კიდევ დიდხანს იქნებაო, დაიტოვეს და ჩვენც გვისაგზლეს იმედი ძველი ტრადიციების გაგრძელების და ახლის დაძველების.

ამ ფოტოთი შეგნებულად ვასრულებთ წერილს, რადგან ვინც მას ნახავს, თამაშისას შემთხვევით მიტოვებულს, მიხვდება, რა ხდება ლელოობას ილორის ორღობეებში.

145 წლის სამტრედია

თეთრი ხალათის შეურცხვენლად

პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად თეორად გათენებული ღამეები, უთანასწორო ბრძოლაში სიკვდილის დამარცხება და მადლიერების ღიმილი ფერდაკარგული ავადმყოფის სახეზე... ასეთია ექიმის რთული, საპასუხისმგებლო ცხოვრება, რომელიც რამდენადმე დიდ რისკთანაა დაკავშირებული. განუზომელია ის შრომა, რაც ყოველ მედიკოსს "ჰიპოკრატეს ფიცისადმი" ერთგულებით ადევს ვალად. საუკუნეთა სიღრმიდან იღებს მედიცინის არსი სათავეს და იმთავითვე ერთია მისი კრედო _ სხეულებისაგან ხსნა.

145 წლის ქალაქის ისტორიაში მრავლად იყვნენ მედიკოსები, რომლებმაც, თავიანთი წარმატებული ათეულწლიანი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვეს სამტრედიელთა მახსოვრობაში. ვახტანგ დუნდუა _ ამ სახელის გაგონებაზე ყველას სითბოთი ევსება გული. ვისაც კი ჰქონია მასთან ურთიერთობა, ვისაც ჰქონდა ბედნიერება, ყოფილიყო მისი თანამშრომელი, სიყვარულით ივონებს დამახასიათებელი საუბრის მანერითა და ჩაცმის სტილით ვამორჩეულ, მარჯვენაკურთხეულ ექიმს, პროგრესულ მკურნალს.

1922 წელს დაიბადა იგი, ბავშვობიდანვე მიზნად დაისახა მომავალი პროფესია და ზრდასრულმა იმდენს მიაღწია, თვითონაც რომ რთულად წარმოიდგენდა. პიროვნული კეთილგანწყობით, მიმტევებლობით, ერთურთის პატივისცემითა და კეთილშობილებით ბატონი ვახტანგი ახალგაზრდა ასაკშივე იქცა კოლეგებისათვის მისაბაძ მაგალითად. მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობას აერთიანებდა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ექიმის ცხოვრება. ყველა თაობისთვის მისაღები, უშუალობით გამორჩეული ვახტანგ ექიმი მოკრძალებითა და უანგარობით ეკიდებოდა ამა თუ იმ საკითხს და კრიტიკულ სიტუაციებში უმალ ამჟღავნებდა კეთილშობილურ ღირებულებებს.

მაღალკვალიფიციური პედიატრი _ ასე აფასებენ ვახტანგ დუნდუას სამტრედიაში. წლების მანძილზე მუშაობდა იგი ბავშვთა საავადმყოფოს მთავარ ექიმად და არ ყოფილა დღე, რომელსაც უკვალოდ ჩაევლოს მის პრაქტიკაში. პატარებზე ზრუნვაში ბევრჯერ დასთენებია კიდეც, მაგრამ არასოდეს უნანია. ეს საქმე იყო მისი შინაგანი გამოძახილი და ადამიანური ვალდებულება. ერუდირებული პიროვნების ნაყოფიერ პროფესიულ საქმიანობას ერთიორად ამშვენებდა მადლიერ პაციენტთა სიმრავლე. თვითრეკლამა უცხო იყო მისთვის. უჩუმრად აკეთებდა ისეთ მნიშვნელოვან საქმეს, რასაც ექიმთა ახალგაზრდა თაობის აღზრდა და პროფესიული დაოსტატება ჰქვია.

თუ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს მიუხაროდა ექიმთან მისვლა, ამის ყველაზე კარგი დასტური ბატონი ვახტანგი გახლდათ. საქართველოს დამსახურებული ექიმი აქტიურად იყო ჩართული სამტრედიაში ბავშვთა საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის, როგორც ცალკე იურიდიული ერთეულის შექმნის საქმეში, რასაც დიდი მონდომების წყალობით მიაღწია კიდეც.

ვახტანგ დუნდუა პირნათლად აგრძელებდა უფროსი თაობის ექიმების ნათელ კვალს და თანამედროვეთა რიგებში უკონკურენტოდ იკავებდა ადგილს პირველთა შორის. ნელი დადიანი, ზინაიდა (ჩუტუ) ნაცვლიშვილი, გუგული კახაძე, გენო გეგეშიძე, ლევან ნანეიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, ლამარა ტერელაძე, თინა შანიძე... რთული იყო მედიკოსთა ლეგენდარულ პლეადაში სახელის დამკვიდრება, მაგრამ ვახტანგ დუნდუასთვის, ნიჭიერებით, საქმის ღრმად ცოდნითა და ახლის მაძიებლის თვისებით არც ეს წარმოადგენდა დაუძლეველ ბარიერს, პირიქით, ზემოხსენებულ პიროვნებებთან ერთად ის წლების მანძილზე შესაშური პროფესიონალიზმითა და კოლეგიალობით იდგა რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

მთავარი ექიმის თანამდებობაზე სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა იგი სამტრედიის ბავშვთა საავადმყოფო-პოლიკლინიკის გაერთიანებას. ანგარიშგასაწევი, უტყუარი რჩევა-დარიგებების მიმცემი უფროსი კოლეგა დღესაც ახსოვთ სამტრედიის ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, ვახტანგ ექიმი აკლია ქალაქს და უპირველესად, მის საავადმყოფოს. თეთრი ხალათის შეურცხვენლად განვლო ცხოვრების გზა და სამტრედე ქალაქის მატიანეში ღვაწლმოსილი მედიკოსის სახელით დაიდო მარადიული სამყოფელი ვახტანგ აკაკის ძე დუნდუამ. "დიაგნოზის კარგად დასმა კარგი მკურნალობის საწინდარია" _ ეს სიტყვები ჰქონდა დევიზად და ამართლებდა კიდეც მის არსს, რამეთუ პაციენტი უმთავრესი ცნება იყო ექიმის, ფუძემაგარი ოჯახის მამისა და რიგითი თანაქალაქელისთვის.

ექიმობისა და ადამიანობის მეტრი

შპს "ბავშვთა საავადმყოფოს" დირექტორი, ქალბატონი ქეთევან ფანცულაია ადრეული ასაკიდან შემორჩენილი მგონებებით იწყებს ვახტანგ დუნდუაზე საუბარს. "ჩემი ამ საავადმყოფოში მოსვლიდან კი ერთმანეთთან კოლეგიალური ურთიერთობა გვაკავშირებდა. _ აღნიშნავს ქალბატონი ქეთევანი. მახსოვს, ვიდრე ექიმი გავხდებოდი, ბატონი ვახტანგი ჩემს ხშირად მოავადე ძმასთან სახლშიც არაერთხელ მოსულა. სამსახურში წასვლამდე, თითქმის ყოველდღე გამოგვივლიდა და მის მდგომარეობას იკითხავდა. მუდამ მიკვირდა ეს საქციელი, მაგრამ დღეს ვხვდები, რომ ექიმის მოვალეობებს შორის ამგვარი ქმედება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

პროფესიული საქმიანობის დასაწყისში კვლავ მომიწია მასთან ურთიერთობა. როცა მე კულაშში უბნის პედიატრად გამანაწილეს სამუშაოდ, პრაქტიკაზე პაციენტს მასთან მივყევი. გაიგო თუ არა ჩემი მდგომარეობა, თქვა: "ძალიან რთულ უბანზე გაუგზავნიხართ, გაგიჭირდებათ მანდ სახელის მოხვეჭა"-ო. მოგვიანებით მისი თანამშრომელი გავხდი. ვახტანგ დუნდუასთვის მადლობის გარდა სხვა საჩუქარი არ არსებობდა. იმჟამად ბევრი ექიმი დამსახურებულად იღებდა გარკვეულ ანაზღაურებას, მაგრამ მისთვის ესეც წარმოუდგენელი იყო. ამ ადამიანის ხასიათში თანაბრად ნაწილდებოდა პატიოსნებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა. მეამყება, რომ მომიხდა მასთან მუშაობა და დღეს მის გაკვალულ გზას ვაგრძელებ.

ბატონი ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ გადავწყვიტეთ, საავადმყოფოსთვის მისი სახელი მიგვენიჭებინა, თუმცა პასუხად მივიღეთ, რომ აღნიშნული მხოლოდ კონკრეტული პერიოდის გასვლის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

სამწუხაროა, რომ დღეს ეს შენობა ძველი დიდების შესაფერისი რეალობით ვერ ფუნქციონირებს. ჩვენი დიდი სურვილია, დახმარების ხელის გამოწვდით კვლავ ჩავებათ აქტიური მუშაობის ფერხულში, როგორიც სახელოვანი წარსულის გათვალისწინებით შეგვეფერება".

შენიშვნის მოცემაშიც კი გამორჩეული კულტურა ჰქონდა

"თუ დღეს თანამედროვე ექიმმა თანხა უნდა გადაიხადოს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ბატონი ვახტანგი ამას უსასყიდლოდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აკეთებდა. მას უყვარდა საქმით დაინტერესებული თაობა და ყველაფერს ცდილობდა, რათა მათთვის ხელი შეეწყო, გზა გაეკაფა.

ვახტანგ დუნდუას დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს პროფესიულ დახვეწასა და განვითარებაში. ჩემთვის და ჩემი თაობის ექიმებისათვის დიდი ბედნიერებაა, რომ ვართ მისი აღზრდილები. ბედმა მარგუნა, შემდგომში მასთან ერთად მემუშავა, მის გვერდით ვყოფილიყავი. ის ახალგაზრდა ექიმებს "გვაიძულებდა", კიდევ და კიდევ გვესწავლა, არ გავჩერებულიყავით იმაზე, რაც ერთხელ გვქონდა ნასწავლი.

ავადმყოფთან ყოფნისას არ გაგრძნობინებდა, რომ შენზე კომპეტენტური იყო, ცდილობდა თვითონვე მივსულიყავით სწორ დიაგნოზამდე და გამოსდიოდა კიდეც. მოწესრიგებული, პროფესიის ერთგული მუშაკი, ასეთად მესახება ბატონი ვახტანგ დუნდუა, ექიმი, რომელიც არაფერს დაზოგავდა მედიცინისთვის". _ დასძენს შპს "ბავშვთა საავადმყოფოს" წამყვანი ექიმი-პედიატრი, ქალბატონი მზია ორაგველიძე.

უკეთესზე ვისზე დაწერთ?!

ამ სიტყვებით შეგვეგება მედდა მაცეო სტურუა და სიყვარულით მოიგონა პედიატრი ვახტანგ დუნდუა. "შეიძლება ითქვას, რომ მისი გაზრდილი ვარ. 19 წლის დამწყები ექთანი გახლდით, როცა ამ საავადმყოფოს კარი შემოვაღე და მას შემდეგ მისდამი ერთგულებით მოვდივარ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო ორი ადამიანი, რომელთაც განსაკუთრებულად ვემადლიერები. ესენი არიან ქალბატონი ირა მიქაშავიძე, რომელიც ბავშვთა სამედიცინო მომსახურების დარგში დღემდე მისაბაძი პროფესიონალია და ბატონი ვახტანგ დუნდუა, პატიოსნების განსახიერება, ჩინებული ექიმი.

არ ჰქონდა მნიშვნელობა, დღე იქნებოდა თუ ღამე, მუდამ მზად უნდა ვყოფილიყავით პაციენტების კეთილდღეობისათვის. ჩემი აზრით, ბატონი ვახტანგი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო რაიონის ინტელიგენციაში, როგორც ექიმი და როგორც ღირსეული მოქალაქე. ის არასოდეს ყოფილა გატაცებული მატერიალური ფასეულობებით. მისთვის ყველაზე დიდ ფასეულობას პროფესია და ოჯახი წარმოადგენდა. მან და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნუნუ გელაზონიამ საუკეთესო შვილები აღზარდეს აკაკი და ვახტანგ დუნდუების სახით, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ ოჯახის ტრადიციებს".

ვატყობ მე მაგას, მოძრავი გოგოა

"რა შემიძლია ვთქვა ვახტანგ დუნდუაზე იმაზე მეტი, რასაც მის მიერ ნაკეთები საქმე და ავტორიტეტი ცხადჰყოფს. როცა პირველად ახლად მოსული ვუნახივარ, უთქვამს: "ვატყობ მაგას, მოძრავი გოგოა"-ო და ეს ჩემთვის იმთავითვე დიდ სტიმულს წარმოადგენდა. მოწესრიგებული ხელმძღვანელი იყო, არც გვიკვირდა, რომ ჩვენგანაც იგივეს ითხოვდა. მახსენდება, ერთ-ერთი მორიგეობისას, სალამოს შემოვლის შემდეგ, მოსასვენებლად ოთახში წამოვწექით მე და ქალბატონი მერი კლდიაშვილი. უცებ, სიბნელეში ნაცნობი სილუეტი შევნიშნე, ბატონი ვახტანგი განუყრელი ცილინდრით, ფეხაკრეფით მიაბიჯებდა კორიდორში. დაუყოვნებლივ წამოვხტი და მივუახლოვდი, ვახტანგ ექიმმა ჩვეული მანერულობით მითხრა: "არ თქვა ახლა, გულიკო, არ მეძინაო"-ო და შემდეგ მიმღებ განყოფილებაში ავადმყოფთა ისტორიების დასათვლელად გამგზავნა. შუა გზიდან მოვბრუნდი, სავარაუდო რაოდენობა მოვახსენე და "საკადრისი" პასუხიც ვიწვნიე: "მიდი, ნუ გეზარება, დათვალე"-ო, თურმე მას წინასწარ ჰქონია დათვლილი.

სიდარბაისლით, აუღელვებლობით ცნობილი ვახტანგ დუნდუა, რადიკალურად იცვლებოდა თუ სამსახურიდან ერთი დღით მაინც სთხოვდი გათავისუფლებას. ამ გარემოებასთან დაკავშირებით კურიოზული ფაქტი მახსენდება, როცა ბატონ ვახტანგთან მისულმა ექთანმა, თხოვნაზე: დაკრძალვაზე ვარ წასასვლელიო, პასუხად მიიღო: დღეს ძალიან ბევრი მძიმე პაციენტია შემოსული და ხვალ გაგიშვებო." _ სიამოვნებით გვესაუბრება მედდა გულიკო თარგამაძე.

სიკეთით მოსილი

"ეს ეპითეტი ზედგამოჭრილია მის დასახასიათებლად, _ ამბობს მედდა მერი კვანტალიანი და ბატონ ვახტანგ დუნდუასთან მუშაობის წლებს იხსენებს. საავადმყოფო მისი მეორე ოჯახი იყო, შეიძლება პირველიც. შვილებსა და მცირეწლოვან პაციენტებს თანაბრად უნაწილებდა სითბოს, მზრუნველობას. იგი მოწოდებით მკურნალი გახლდათ და სხვაგვარი ვერც იქნებოდა მისი ყოველდღიურობა. პატარა ვახო (ბატონი ვახტანგის ვაჟი. _ ავტ.) ხშირად ჩვენთან იყო, თითქმის აქ იზრდებოდა. ვახტანგ ექიმი "წყრომით" გვიმეორებდა: "ნუ გაანებივრებთ, ზედმეტი ყურადღებით არ გააფუჭოთ"-ო. ძალიან მიხარია, რომ სახელოვანი წინაპრის საქმეს, ვახტანგ დუნდუა (უმცროსი) ზედმიწევნით კარგად აგრძელებს, რითაც მარადიულ ნათელს ჰფენს მამის უმწიკვლო სახელსა და ღირსებას".

მოგებული პარტია

"12 წლის ვიყავი, როცა მამა გარდაიცვალა. _ სევდანარევი მონატრებით გვესაუბრება ბატონი ვახტანგ დუნდუა. დროის ძირითად ნაწილს მასთან, სამსახურში ვატარებდი. გაკვეთილების შემდეგ გადავდიოდი საავადმყოფოში და "ვერთვებოდი" მათი მუშაობის რიტმში. დღემდე მიკვირს, საიდან ჰქონდა ამდენი ენერგია, დაუღალავი იყო. იმ გარემომ, რომელშიც მშობლები ტრიალებდნენ, დიდი გავლენა იქონია ჩემს სამომავლო პროფესიაზე.

მეგობრული, გულღია, კეთილშობილი მამა, ჩვენთან ურთიერთობისას ცდილობდა რაღაც განსაკუთრებული ყოფილიყო. ჭადრაკი უყვარდა, ხშირად ვთამაშობდით, იმ საბედისწერო დღესაც "შევერკინეთ" ერთმანეთს. სამი პარტია ვითამაშეთ და ანგარიშით 2 : 1 გამარჯვებული გავხდი. "სერიოზულად თამაშობ, ყოჩაღ, დამამარცხე კიდეც"-ო მითხრა და ღამით... მაქსიმალურად ვცდილობ, როგორც პედიატრმა მისი სახელი არ შევარცხვინო. ტრადიცია გრძელდება, ჩემი შვილი, ნინო დუნდუა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტია. მან ბევრი იცის ბაბუის შესახებ და ესახელება მისი შთამომავლობა".

ჯეოა კაკაბაძე

"რა ეგონა შეცბუნებულ სიკვდილს, თუ სიცოცხლე გრძელდებოდა მაინც!"

ნათია ნაცვლიშვილი

2008 წლის 8 აგვისტოს სენაკის ბაზიდან გამოსულ სამხედრო მანქანების კოლონას, რომელიც სამტრედიის ჭიატკეციელზეც გამოივლის, 25 წლის მარლენ ბარამიაც ახლავს, წინასწარ რომ დაურეკა მეულლეს, ჩემი პატარა თეკლა გამომიყვანე, მაჩვენე, ვინ იცის, იქნებ არც მეღირსოს მისი ნახვაო... რამდენიმე დღიანი უმძიმესი ბრძოლების ცეცხლი და... მარლენ ბარამიას სული მარადისობას შეუერთდება. მერე მთელი საქართველო ილაპარაკებს ქრისტეს რჩეულ მხედრებზე და მათ შორის იმ 17 გმირზე, შინდისში მსუბუქად შეიარაღებულნი რუსული ბატალიონის პირისპირ რომ აღმოჩნდნენ. 22 ქართველი მებრძოლიდან 5 სასწაულებრივად გადარჩა. ბიჭებმა 1 საათი გაუძლეს უშელავათო და უთანასწორო ბრძოლას, ისინი ხომ ავტომატებით იდგნენ რუსული ჯავშანტრანსპორტიორების პირისპირ. რუსმა სამხედრო მაღალჩინოსანმა ორჯერ ითხოვა დახმარება, ეგონათ, არა 20-ეული, არამედ ასეული ებრძოდა მათ.

იმ ბიჭებიდან ერთ-ერთი, "სვანურ ციხე-სიმაგრედ" წოდებული ალექსანდრე ონიანი მტერს ცოცხალი არ ჩაბარდება და თავს აიფეთქებს. იმ მძიმე ბრძოლაში ვანის მკვიდრი ახალგაზრდა პოეტი, მიშიკო დვალიშვილიც დაეცემა, მოგვიანებით კი გადარჩენილი პირტიტველა ბიჭები მისი ულამაზესი ლექსების სტროფებს გაიმეორებენ: "ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები, უფლის კაცები და ვაუკაცები!"

შინდისელი გმირების სახელები უკვდავყოფილია. ისინი ჩვიდმეტნი იყვნენ: რომან ზოიძე, ირაკლი ჯანელიძე, ალექსანდრე ონიანი, მარლენ ბარამია, ვეფხია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, ნიკოლოზ ფორჩხიძე, ემზარ წილოსანი, ილია შეყლაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, ილია გაბუნია, მიხეილ დვალიშვილი, ფელიქს კაკაურიძე, შმაგი კუპატაძე, რუსლან წულაძე, ლევან მელქაძე, კახა კოშაძე. აქედან ორი, ლევან მელქაძე და მარლენ ბარამია სამტრედიელები იყვნენ. ირაკლი ჯანელიძე _ ქუთაისელი. ასევე გაიხსენეს იმ დღეს აგვისტოს ომში დაღუპული სამტრედიელი ლაშა თევზაძე, აფხაზეთის მკვიდრი, ავედიკ ლომიძე და ლევან კოხრეიძე.

ისტორიის ფურცლებს მზეჭაბუკებად შერჩენილი გმირების ხსოვნა მე-10 საჯარო სკოლაში გააცოცხლეს. 30 აპრილი საქართველოს შეიარაღებული ძალების დღე მართლაც ღირსეულად აღინიშნეს მე-10 სკოლელებმა. მე-8, მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეები სამხედრო ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. 21-ე საუკუნის გმირებზე ისაუბრეს, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს ომის გმირებზე. საქართველოს უახლესი ისტორიის მარაბდა უწოდეს მათ აგვისტოს ომს.

უსაზღვრო და უკიდეგანო იყო ემოცია, მოსწავლეები დეტალურად ჰყვებოდნენ აგვისტოს სისხლიანი ქრონიკების შესახებ. დარბაზში ისხდნენ მარლენ ბარამიას დედა მედეა და დეიდა რუსიკო გულუები და ლაშა თევზაძის დედა მადონა კაცაძე. ასევე, შინდისის გმირების ახლობლები. იქ იყო აგვისტოს ომს გადარჩენილი ორი გმირი _ გიორგი გაფრინდაშვილი და ვალერი მელქაძე.

საოცრად ემოციურად განასახიერა ქართველი დედის სახე მოსწავლემ ილიას პოემიდან "ქართლის დედა". "დიდბერაძე და გოგი გეგელაშვილი. ცრემლების გარეშე არ ჩაუვლია მორის ფოცხიშვილის ლექსზე შექმნილ, ლევან აბაშიძისადმი მიძღვნილ სიმღერას: "ნუ მიტირებს ნურავინ, ბედი მაინც ბედია..."

ტიროდა დარბაზში ყველა, ცრემლების ზღვა იდგა, დუღდა ემოცია. საოცრად გათავისებული ჰქონდათ მოსწავლეებს თემა, რომელიც წარმოადგინეს. ჩვენ ამ გმირების ღირსეული ცვლა ვიქნებითო, _ დაგვპირდნენ ისინი.

გულწრფელად ვიტყვი, არ ვიცი, რას უწოდებენ ბრენდირებულ სკოლას და ბრენდ მასწავლებელს, მაგრამ, ვფიქრობ ბრენდირებულია ის სკოლა, სადაც ასეთი ღონისძიებები ეწყობა. დიდი მადლობა პედაგოგს, ქალბატონ მარინე ცინცაძეს, მის მიერ მოწყობილ ღონისძიებებს ყოველთვის სიამოვნებით ვსტუმრობთ.

სამტრედიელებმა შესანიშნავად იციან შინდისელი გმირების ისტორია, ჩვენი თანაქალაქელის, პოეტ თემურ ჯულაყიძის წიგნიდან "შინდისელი გმირები". ბატონმა თემურმა დიდი პატივი დასდო ამ გმირებს, შინდისში ბრძოლის ადგილას მდგარი შენობის ნანგრევებთან დაღუპული გმირების ახლობლებთან ერთადაც მივიდა და მიაგო პატივი მათ ხსოვნას.

"ცა ჩვიდმეტი ჯვარია, სული მაინც არ ტყდება, მერცხლებს სწორედ თქვენს სისხლთან დაუზრდიათ ბარტყები". _ ეს სიტყვები თემურ ჯულაყიძემ შინდისელ გმირებს უძღვნა, ახლა სიმღერად რომ აქცია ფოთოლა ჩიქობავამ და ემოციურად რომ შეასრულეს მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ანა და ვახტანგ ნადირაძეებმა.

"საქართველო სწორედ აქ არის, ამ სკოლაში, სკოლის ხელმძღვანელს ქალბატონ თამარ თევზაძესა და მარინა ცინცაძეს უდიდესი მადლობა . მადლობა მოსწავლეებს, ასე რომ გაითავისეს გმირების სიტორია". _ განაცხადა ღონისძიების ბოლოს ბატონმა თემურმა.

საკუთარი ლექსი, რომელიც ასევე ეძღვნება შინდისის გმირების დედებს ქალბატონმა თამარ რაზმაძემ წაიკითხა.

მოსწავლეებმა იმ დღესვე გადაწყვიტეს, უახლეს დღეებში ეწვიონ შინდისს და უკეთ უკვდავყონ გმირების ხსოვნა.

ბაშის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანემ (კოხრეიძე) შეაფასა ღონისძიება:

"უწმინდიესს და უნეტარესს, ილია მეორეს უთქვამს: საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მიწა რომ აიღო და ხელი მოუჭირო, სისხლი გამოვაო. აი, ამ გმირების მაგალითები იგივეს გვეუბნება, გულით ავადმყოფი ვარ და საოცრად დავიტვირთე ემოციებით, მადლობა ყველას, ვინც ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო და ვინც უხელმძღვანელა მას. სხვა სკოლებშიც დავდივარ და ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ახალგაზრდები სწორ გზაზე დგანან, მადლობა ამ სკოლას და საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომლის წარმომადგენლებიც აქ იმყოფებიან. ამ ბიჭების სახელები ზეციურ წმინდანთა დასში ჩაირიცხა. ქართველი დედა თავის შვილს ყოველთვის პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდა. ეს დედები არიან ამის ნათელი მაგალითები, დაგლოცავთ დედებო, წყალობა არ მოგკლებოდეთ, უფალს ებარებოდეთ!"

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი, პედაგოგი, ალექსანდრე თევზაძე:

"შეუძლებელია, ცრემლის გარეშე უყურო ამ ყველაფერს, ისე წარმოადგინეს მოსწავლეებმა დღევანდელი ღონისძიება, თუ ოდნავ მაინც ძარღვი გიფეთქვას ქართული და ეროვნული, შეუძლებელია არ განიცადო. ეს ვაუკაცები გმირები, დედებმა აღზარდეს, გმირები არიან ის დედები, "ლამაზად შვილის აღმზრდელები", არ სჭირდება ჩვენს მომავალ თაობას ისტორიის ანალებიდან გმირების მოხმობა, რადგან უახლესი წარსულის გმირებიც გვყავს. ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა არ არის მხოლოდ სასწავლო პროცესი, ჩვენი სისტემა არის სასწავლო-საალმზრდელო პროცესიც. ეს შესანიშნავი პედაგოგები, რომელთაც მოამზადეს ეს ღონისძიება, წარმოადგენენ მაგალითს იმისა, რომ დედებთან და ოჯახთან ერთად სკოლამ როგორ უნდა აღზარდოს ღირსეული მომავალი".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ტარიელ დვალიშვილი ერთადერთი იყო ხელისუფლების წარმომადგენელთაგან, რომელიც ღონისძიებას დაესწრო.

"ხელისუფლების სახელით ბოდიშს ვიხდი, ისინი უნდა იყვნენ დღეს აქ წარმოდგენილნი. მე ქედს ვიხრი გმირების და მათი მშობლების წინაშე. მსგავსი ღონისძიება მე არ მინახავს, დიდი მადლობა ყველას!" _ განაცხადა მან.

"ვინ უნდა გადავიღოთ, გაუკულმართებული შოეუები თუ ეს ბავშვები", განაცხადა პედაგოგმა გულიკო გოგიტიძემ, პოეტ ბაჩუკა ჩაბრაძის დედამ, რომელმაც წაიკითხა გმირებისადმი მიძღვნილი ნათელა გოხელაშვილის ლექსი.

მადლობა განაცხადეს ლაშა თევზაძის და მარლენ ბარამიას დედებმა, ასევე ლევან კოხრეიძის მამიდამ, ლევან მელქაძის ძმამ, ვლადიმერმა მიმართა მოსწავლეებს: ასე ქართული სიყვარულით იცხოვრეთ და გადაეცით შთამომავლობას გმირების ისტორია. პედაგოგმა დალი ღამბაშიძემ ლექსით შეამკო გმირთა ხსოვნა.

იმ დღის ბოლო აკორდი კი ღონისძიების ორგანიზატორის, მარინა ცინცაძის მიერ წაკითხული მიხეილ დვალიშვილის პედაგოგის ვანო კორძაძის ლექსი იყო: "რა ეგონა შეცბუნებულ სიკვდილს, თუ სიცოცხლე გრძელდებოდა მაინც!"

" ჩვენ გვიხდით მადლობას და ჩვენ გაცებულნი ვართ, _ მიმართა სტუმრებს სკოლის დირექტორმა თამარ თევზაძემ. ჩვენ მადლობისთვის არაფერი გაგვიეთებია, ეს ჩვენი სკოლის მისიაა, აღზარდოთ ღირსეული პატრიოტები ამ სკოლის კედლებში და ქართული ტრადიციების პატივისმცემელი ახალგაზრდები. მადლობა ჩემს პედკოლექტივს, რადგან ყველა ერთად ვდგავართ! მადლობა მარინას და ყველა ჩემს მოსწავლეს".

"მზისგულება" ბიჭების ხსოვნა რომ უკვდავია, ამაში ჯარისაცის ფარაჯაში გამოწყობილი მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლეები გვარწმუნებდნენ.

თქვენ არასოდეს იქნებით მარტო

ლევან გაბეჩავა

სათნოების სახლის ბინადართ საზოგადოებისაგან ყურადღება არასოდეს ჭკლებიათ. საჯარო სკოლების მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ სათნო მოხუცებს და ხანდაზმულობის წლებს რამდენადმე ულამაზებენ. წერიალა სიმღერებით, ცეცხლოვანი ცეკვებით დაუსრულებელ ფიქრებს გამოსტაცებენ მათ და ცხოვრების მშვენიერებაში კიდევ ერთხელ დაარწმუნებენ.

ვარდობისთვის პირველ დღეს ქალაქის მეშვიდე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები სათნოების სახლს ეწვივნენ. ღონისძიება სამოქალაქო კლუბის მიერ იყო ორგანიზებული. კლუბის ლიდერია გიორგი კიკაჩეიშვილი, ხელმძღვანელი კი ღვაწლმოსილი, მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელი, საოცრად აქტიური ქალბატონი, პედაგოგი ქეთო ნუცუბიძე.

_ სამოქალაქო კლუბში, როგორც წესი მაღალი კლასის მოსწავლეები არიან გაერთიანებულნი. უკვე მოვაწყვეთ დასუფთავებისა და გამწვანების აქცია, მოვამზადეთ კედლის გაზეთი, სამომავლოდ გვსურს კიდევ ერთი ღონისძიება გავაკეთოთ და იგი ცხოვრების ჯანსაღი წესის უპირატესობის წარმოჩენას, პროპაგანდას მივუძღვნათ. _ გვითხრეს სამოქალაქო კლუბის წევრებმა.

_ ვიდრე სათნოების სახლს ვეწვეოდით, სკოლაში ნებაყოფლობითი შემოწირულობის ყუთი დავდგით. ვის რამდენი შეეძლო, რისი საშუალებაც ჰქონდათ, იმდენ თანხას ჰყრიდნენ შიგ. მერე ბავშვებმა გახსნეს ყუთები, შეგროვილი თანხით კი ის მცირედი საჩუქარი შევიძინეთ, რაც დღეს კეთილი გულით გადავეცით მოხუცებსო. _ აღნიშნა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში ქალბატონმა ქეთო ნუცუბიძემ.

ვიდრე სამოქალაქო კლუბის წევრებს ვესაუბრებოდით, დარბაზში სახეგაბრწყინებულმა მოხუცებმა მოიყარეს თავი.

ტრადიციულად აქ სტუმრებიც მალე გაშინაურდნენ და... ლამაზად, ხატოვნად ნათქვამ ლექსს, ხალხურ საკრავებზე, გიტარაზე ბრწყინვალედ შესრულებული სიმღერები, ცეცხლოვანი აჭარული, ყაზბეგური ცეკვები სცვლიდა. ლექსი წაიკითხა სათნოების სახლის ბინადარმა, ქალბატონმა ჯულიეტა ჩიხლაძემ.

მღეროდნენ და ცეკვავდნენ სტუმრებიცა და მასპინძლებიც, ბევრის თვალზე ცრემლიც აკიაფდა, ცრემლი სიხარულისა, თანადგომისა, სხვათა სიხარულით გახარებისა. სათნოების სახლის ბინადართ თბილად მიესალმა სკოლის დირექტორი, ქალბატონი მარინა გოგიშვილი და ხანგრძლივი სიცოცხლე, დღეგრძელობა უსურვა მათ.

ამაღელვებელი იყო დამშვიდობების წუთები, თქვენ არასოდეს იქნებით მარტო! ერთხმად, ფიცივით უთხრეს მოსწავლეებმა მოხუცებს წამოსვლისას. ტაატით მიდიოდნენ საკუთარი ოთახებისაკენ სათნო ადამიანები. ვინც შეძლო, აივანზე გამოვიდა და ვიდრე ბოლო სტუმარი მანქანაში არ ჩაჯდა, მადლიერების ნიშნად ხელს უქნევდნენ სასურველ სტუმრებს.

მადლობა სკოლის მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეებს ლაშა შუბლაძეს, ოთარ ცხვარაძეს, ქეთი და თაკო ნიკოლეიშვილებს ღონისძიების მხატვრული ნაწილის მომზადებისათვის, სამოქალაქო კლუბის წევრებს, სკოლის დირექტორს, მოსწავლეებს, ყველას ვინც მაისის თბილი დღე დაუვიწყარი გახადა იმ ადამიანებისათვის, წლებით მხრებდამძიმებულთ ყველაზე მეტად რომ სჭირდებათ სხვათა სითბო და თანადგომა.

როცა ამოდის და ნათდება

თეა ბაბუნაშვილი

ეს წარმატება პირველი არ არის. უკვე მერამდენედ ოვაციებითა და ტაშით აჯილდოვებს მაყურებელი. სცენაზე ანსამბლი ''ლილე'' დგას გემოვნებით დადგმული სანახაობით. აღფრთოვანება გარდაუვალია. ფოლკლორული თეატრი _ ასე დაარქვა მას კომპოზიტორმა კოტე მალანიამ, ცოდვაა ამ იდეების ანსამბლს მხოლოდ ქორეოგრაფიული ანსამბლის სტატუსი ჰქონდესო. არ ერიდება მის სამხატვრო ხელმძღვანელს, მამუკა მხეიძეს თქვას: ''ამ ეტაპზე საქართველოში ერთადერთია ''ლილე'' ამგვარი სტატუსის მატარებელი რომ გახლავთ, რადგან მოძრაობა, განათება და მხატვრული ტექსტის შინაარსი მთლიანობად არავის უქცევია აქამდე.''

დარბაზში ოვაციები არ წყდებოდა. და იმიტომაც, რომ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები მოძრაობით ამეტყველებული, ცეკვით განსახიერებული, სახელწოდებით ''ამოდის, ნათდება'' ''ლილემ'' ფოლკლორულ სპექტაკლად აქცია. იდეა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს, მამუკა მხეიძეს ეკუთვნის. მისივეა სცენარი. სპექტაკლზე ორი წელია მუშაობს ანსამბლი. კონცერტი კი ''იავნანამ რა ჰქმნათი'' დაიწყეს, რომელსაც აგრეთვე დიდი წარმატება ხვდა წილად მაშინ, როცა იგი პირველად ნახა მაყურებელმა. კოტე მალანიამ ის დღე გაიხსენა, როცა მამუკა მხეიძემ, სამტრედიაში შემთხვევით მყოფს, პირველად მოასმენინა მელოდია, რომელზეც ცეკვის დადგმას აპირებდნენ და აჩვენა ბავშვები, რომლებიც ცეკვავდნენ. ''მაშინვე დაიბადა ქართული ფოლკის ჩამოყალიბების იდეა. ფოლკლორული თეატრი ყველაზე მორგებული იქნებოდა ამ ანსამბლის ხელმძღვანელების ჩანაფიქრისთვის და ამ ბავშვებისთვის. 21-ე საუკუნის გამოწვევები მაინც სხვა არის, თავისი ტექნოლოგიებით სამეცნიერო დარგში და კულტურაშიც. აქ წარმოდგენილი იყო დრამის, მუსიკის და ქორეოგრაფიის სინთეზი. და წარმოდგენილი იყო ძალიან ეფექტურად. როცა ბავშვებს ვუკრავთ ტაშს, არ დაგვავიწყდეს ყველაზე მთავარი, ქართველები მულტიკულტურული ხალხი ვართ. საქართველოს ყველა რეგიონში შეიძლება აღმოვაჩინოთ ისეთი ნიჭი, რომელმაც შეიძლება დაგვზაფროს, ცისკენ თვალები აგვაპყრობინოს და გვათქმევინოს, ღმერთო, დაილოცა შენი ძალა! მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ამ მულტიკულტურულ ბავშვებს მულტინიჭიერი ხელმძღვანელები ჰყავთ...'' ანსაბლის ხელმძღვანელს და მთავარ ქორეოგრაფს, გელა თურმანიძეს ქორეოგრაფ მაკა მეფარიშვილს, დამწყებ ქორეოგრაფ გიორგი პაქსაშვილს და სამხატვრო ხელმძღვანელ მამუკა მხეიძეს დარბაზი და სტუმრები დიდხანს უკრავდნენ ტაშს.



სპექტაკლს თუმანიშვილის თეატრის მსახიობი რამაზ იოსელიანი ახმოვანებდა. სამტრედიელებმა მისი სტუმრობთაც გაიხარეს. ეროსი მანჯგალაძის სახელობის სცენაზე პირველად დგომის შემდეგ, მსახიობმა ამ ბუმბერაზ არტისტთან ერთად გატარებული წლები და მასთან ერთად ნათამაშები როლები გაიხსენა. ''ლილესა'' და მის ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა კულტურული სიამოვნებისთვის და აღნიშნა: ''მამუკა და გელა რომ ''არანორმალურები და გადარეულები'' იყვნენ, ვიცოდი, მაგრამ ეს ბავშვები?! ძალიან მომეწონა. არა აქვს მნიშვნელობა, რა გააკეთეს, მთავარია, როგორ გააკეთეს. ისინი ვაჟას შეეჯიდნენ და შეეჯიდნენ არა ლიტერატურული კომპოზიციით, არამედ ქორეოგრაფიით. ორი-სამი კომპოზიცია აქ იმდენად კარგი იყო, ნებისმიერი ცნობილი ქორეოგრაფი თამამად მოაწერდა ხელს.

აღდგომიდან ამაღლებამდე ქრისტიანები ქრისტე აღდგათი ესალმებიან ერთმანეთს და ასე მიესალმა დარბაზს ეპისკოპოსი, მეუფე საბა. მრევლი დალოცა და მიმართა: ''ადამიანის ცხოვრებაში არის განსაცდელი, ტკივილი, ტანჯვა, მაგრამ მარტო ეს არ არის ცხოვრება. ყველა დაცემას აღდგომა მოსდევს. აქ სწორად თქვეს, რომ მთელი საქართველო დიდი ვაჟას, ილიას შთამომავლები ვართ და მადლობა უფალს, რომ ჩვენს ქვეყანას ბევრი ჰყავს მათნაირი ჭირისუფალი. 21 საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა და რაც უფრო ვითარდება ტექნოლოგიები, მით უფრო კვდება ადამიანებს შორის ურთიერთობა. ბუნებრივია, უნდა მივიღოთ საუკუნის გამოწვევები, მაგრამ არასდროს დავკარგოთ ერთმანეთი. მთავარი ღირებულება კი ადამიანისა და მოყვასის სიყვარულია; სულის გადარჩენისთვის, სარწმუნოებისთვის, ტრადიციებისთვის ცხოვრებაა. დღეს ამ ბავშვებმა გვაჩვენეს თავიანთი შემოქმედებით, რომ ეს ასეა და ღმერთმა ქნას, მათაც და ჩვენც ეს გამოგვივიდეს.'' ხონი-სამტრედიის ეპარქიის საიუბილეო თარიღის მოახლოების გამო, როგორც თავადვე თქვა, სცენაზევე ''შეუკვეთა'' ''ლილეს'' შესაფერი ღონისძიების მოწყობა.

ყველა წარმატებული პროექტის დაფინანსება და შესაძლებლობების ფარგლებში გვერდით დგომა აღუთქვა ანსამბლსა და მის ხელმძღვანელობას მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ. ''დაძაბული ყოველდღიურობის შემდეგ ორმაგად სასიამოვნოა ისეთ სანახაობაზე დასწრება, ამ პატარებმა რომ მოგვიწყვეს. მადლობა ანსამბლის ხელმძღვანელობას, საერთოდ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს და მის ხელმძღვანელს, ტატა გოგუაძეს. და მადლობა ვაჟა-ფშაველას შთამომავალს სტუმრობისათვის.

მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი კახიანი არ მალავდა, რომ ''ის, რაც ამ დარბაზში დამეუფლა, არის სიამაყის განცდა. ბედნიერი ვარ, რომ სამტრედიაში ამგვარი რამ შეიქმნა, მით უმეტეს, ეს

არ არის მათი პირველი წარმატება, ჩვენ სხვა პროექტებიც გვაქვს ნანახი, ყოველგვარ მოლოდინს რომ გადააჭარბა და დიდი სიამოვნება მოგვანიჭა.''

''მადლობა ჩემს გვარს! ჩვენ ყველანი, მთელი საქართველო ვაჟას შთამომავლები ვართ! და ეს ნიჭია, ეს ბედნიერებაა, ქართველად ყოფნის ბედნიერება. პირველად ვარ, მაგრამ ვიცნობ სამტრედიას, როგორც ჩემი ქვეყნის ყველა კუთხეს. ყოველთვის ვამბობ, რომ ურბანულ კულტურასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები, შეიძლება, დედაქალაქში წყდება, მაგრამ ნიჭი განფენილია მთელ საქართველოში. ყველა დიდ ნიჭს თავისი კუთხე აქვს და ამის უყურადღებოდ დატოვება კულტურულ კატასტროფას მოგვიტანს. კულტურის, ხელოვნების მადანი რაიონებიდან, სოფლებიდან უნდა ამოვიღოთ. ვიცოდი, რომ რაღაც კარგი დამხვდებოდა, მაგრამ ამდენად კარგს არ ველოდი, იმაზე გაცილებით კარგს, რაც ცენტრში მინახავს. ვაჟა-ფშაველას დიდი იუბილეს აღნიშვნა იწყება რეგიონებიდან და წელს იგი კონკრეტულად სამტრედიიდან დაიწყო.'' _ ამ სიტყვების ავტორს პუბლიკა განსაკუთრებული სითბოთი შეხვდა, რადგან იგი ვაჟა-ფშაველას შთამომავალი, მისი ძმის, ბაჩანა რაზიკაშვილის შვილთაშვილი და ვაჟა-ფშაველას ფონდის დირექტორი, პოეტი ლელა რაზიკაშვილი გახლდათ.

ქორეოგრაფიულ ანსამბლ ''ლილეს'' დაარსება გაიხსენა ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელმა გოგი დოლიძემ: ''ჩვენ შვიდი წლის წინ დავაარსეთ ''ლილე''. ნიჭიერი და კარგი ბავშვები აღმოჩნდნენ. ახლა მათ მუდმივი სიყვარული, ყურადღება და პატრონობა სჭირდებათ, ეს მიღწევები რომ არ დაიკარგოს.''

იმერეთის გუბერნატორს პირველი ოფიციალური ვიზიტი სამტრედიაში ამ კონცერტზე დასასწრებად ჩამოსულს გამოუვიდა. ხელოვნებაში გათვითცნობიერებულმა მან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსად ჩათვალა, რომ წარმოდგენილი ორივე სპექტაკლი ''თანაბრად ძლიერი იყო. ძალიან ნიჭიერ და მიზანმიმართულ კოლექტივთან გვაქვს საქმე. ყველა ამგვარი პროექტი აუცილებლად უნდა დაფინანსდეს!''

იმ საღამოს მასპინძელი მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი იყო, სადაც არაერთხელ უზეიმიათ ''ლილეს'' და არა მარტო მისი წარმატება. დირექტორი ტატა გოგუაძე განსაკუთრებით ღელავდა და მადლობას უხდიდა ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა ამ წამოწყების წარმატებით დასრულების საქმეში. .

''ქართული ფოლკლორი და ვაჟა-ფშაველა არის ყველაზე ქართული, ამოუწურავი თემა, ამიტომ ვაჟა და ამიტომ ფოლკლორი! და ეს ყველაფერი ცეკვით, დიახ, არის ნოვაცია. მიხარია ჩვენი წარმატება, ეს ყველას, ბავშვების, ქორეოგრაფების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საერთო წარმატებაა. დახვეწა ყველაფერს სჭირდება, ''ლილეს'' კი არა, ''სუხიშვილები'' ხვეწენ ყოველდღიურად ტექნიკას.''_ ამბობს მამუკა მხეიძე. ეს წარმოდგენა ''ლილეს'' მეშვიდე პროექტია. აქედან მხოლოდ ორი, ''იავნანამ რა ჰქმნა?!'' და ''ამოდის, ნათდება'' არის ფოლკლორული სპექტაკლი. ბულგარეთის წარმომადგენლობის მიერ გადაღებულ ფილმი ''გული გულის წილ'', სწორედ ამ ანსამბლს მიეძღვნა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ ნოვაციებით შენარჩუნებული და დანახული ტრადიციების გამო.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, კულტურის სამინისტრო უკვე დაინტერესდა ''ლილეთი'' და მინისტრის მოადგილე კახა ჩიქოვანი თავად მუშაობს მის საზღვარგარეთ გასვლაზე, რადგან თვლის, რომ არ შეიძლება, ეს ბავშვები არ გაიცნონ და ამ ბავშვებმა არ გააცნონ საქართველო გარესამყაროს.

გაუხუნარი მუსიკის სამყაროში

ნათია ნაცვლიშვილი

მე-12 საჯარო სკოლის მუსიკის პედაგოგს, ლელა გოლიაძეს გაუჩნდა იდეა, მისი მეოთხეკლასელი მოსწავლეებისათვის, რომელთაც ვენის კლასიკოსები ჰაიდნი, მოცარტი და ბეთჰოვენი შეისწავლეს, მუსიკალური ვიქტორინა მოეწყო. ბავშვებიც, მშობლებიც და კლასის დამრიგებლები ნატალია ადეიშვილი და სვეტლანა ქობულია სიამოვნებით აჰყვნენ მასწავლებლის წამოწყებას და კლასიკური მუსიკის შესანიშნავ ზეიმზე მიგვიპატიჟეს.

მერკანტილური გრძნობებით დამძიმებულ და სულშეგუბებულ საზოგადოებას, ალბათ, არაფერი სჭირდება ისე, როგორც ხელოვნების სიყვარული და სულიერებისაკენ მიბრუნება. ამ ყოველივეს რომ პატარები სკოლის მერხდანვე ეზიარებიან, ბუნებრივია, ამას არაფერი სჯობს. ''’’დარი-დურით'' ყურწარყვნილ ეპოქაში განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ მეოთხეკლასელ პატარებს შეუძლიათ ბეთჰოვენის მუსიკა ჰაიდნის მუსიკისაგან განასხვავონ, იცოდნენ ამ ბუმბერაზი პიროვნებების ცხოვრებისეული ეპიზოდების შესახებ.

მოსწავლეების ცოდნა საგანგებოდ მოწვეულმა ჟიურიმ შეაფასა. ჟიურის წევრები იყვნენ მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოადგილე, პედაგოგი ალექსანდრე თევზაძე, სპეციალისტი ელზა ცხვირავაშვილი, მე-12 საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა თელია და დირექტორის მოადგილე, ხათუნა კოსტავა, № 2 მუსიკალური სკოლის პედაგოგები: მუსიკის თეორეტიკოსი მარინა თედორაძე და საფორტეპიანო კლასის პედაგოგი ლიანა ობოლაძე.

მოსწავლეები ორ გუნდად დაიყვნენ. ისინი ყულაბიდან ამოღებულ შეკითხვებს ამომწურავად პასუხობდნენ. გუნდის ''ჰაიდნი'' კაპიტანი ლევან ლომიძე იყო, ხოლო გუნდის ''ბეთჰოვენი'' გიორგი მაჩიტიძე. კაპიტნები განსაკუთრებულად აქტიურობდნენ, აქტიურობდნენ გუნდის წევრებიც, საბოლოოდ მეგობრობამ გაიმარჯვა. პატარებმა შესანიშნავი ცოდნა გამოავლინეს როგორც ვენის კლასიკოსების ბიოგრაფიების, ისე მუსიკალური ნაწარმოებების შესწავლის თვალსაზრისით. წაიკითხეს პატრიოტული ლექსები ბეთჰოვენის პათეტიკური მე-8 სონატის ფონზე, იცეკვეს ვალსი.

''თუ ვფიქრობთ ჩვენი ქვეყნის მომავალ განვითარებაზე, აუცილებელია, ხშირად მოვაწყოთ შემეცნებითი ღონისძიებები, ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ბავშვები იცნობდნენ როგორც ქართველ კომპოზიტორებს, ისე მსოფლიო დონის კლასიკოსებს. განსაკუთრებით საინტერესოა ვენის კლასიკოსების ცხოვრება, ესაა დიდი კულტურა, ბავშვებმა უნდა შეისწავლონ იმ მაღალი საზოგადოების ყოფაცხოვრება, კულტურული მემკვიდრეობა, მომავალში საქართველოშიც გადმოიტანონ და დანერგონ ეს იდეალები, რათა ჩვენს ქვეყანაშიც ჰყვაოდეს კულტურული ცხოვრება. ეს მათ მუსიკალურ გემოვნებას გაზრდის. ბავშვებმა შესანიშნავი შედეგი აჩვენეს. საგულისხმოა ისიც, რომ სამივეს გენიალური კომპოზიტორი ერთმანეთის მეგობარი იყო, სამივე უზადოდ აფასებდა ერთმანეთის შემოქმედებას. მე-18 საუკუნის ეს სამი ბუმბერაზი 21-ე საუკუნეშიც წარუშლელია''. _ გვითხრა ვიქტორინის ბოლოს პედაგოგმა ლელა გოლიაძემ, რომელსაც პედაგოგიური მოღვაწეობის 14 წლის სტაჟი აქვს. პედაგოგი თავის მოსწავლეებს კიდევ ბევრ საინტერესო ღონისძიებას ჰპირდება.

მოსწავლეებისა და პედაგოგის საინტერესო ნამუშევარი დამსწრეთ შეაფასეს და სკოლას, პედაგოგს, მოსწავლეებსა და მშობლებს დიდი მადლობა გადაუხადეს.

შეხვედრის ბოლოს პატარებმა ინოლა გურგულიას ''ოდელია დელა'' შეასრულეს და მხიარული, სახალისო განწყობით მომავალ შეხვედრამდე დაგვემშვიდობნენ.

“გამოთხოვება მზის და მამულის”

ქეთევან ჭელიძე

აბა, ნახე, ასეთი რამ სხვაგან თუ წაგიკითხავსო, მითხრა ერთხელ ბატონმა ნოდარ ადეიშვილმა და თავისი ლექსის ხელნაწერი მომაწოდა. მართლაც-და, ეს არ იყო მშობლის მიერ შვილებისადმი სიყვარულის ჩვეულებრივი გაცხადება. მასში თავზარდამცემი შიში იკითხება, შიში გარდაუვალ სიკვდილთან დარჩენილი შვილების გამო. როცა მამის ეს განცდა რეალობად იქცა, პირველ რიგში, გონებაში ლექსი “შვილებს” ამოტივტივდა:

“ხომ არც ვერცხლისფერ რაშს დააგელვებს,
მაინც ქარი სჯობს დრუბლიან ამინდს...
რა საწუხარი აღარ მაბერებს,
მაგრამ ეს ერთი – სხვაგვარად მაინც
რომ ერთხელ თქვენაც აგიტირდებათ
სტვირი იქნება თუ სალამური,
რომ ერთხელ თქვენაც გაგიჭირდებათ
გამოთხოვება
მზის და მამულის...”

ბატონი ნოდარის საბედნიეროდ, ზურას “სტვირის” თუ “სალამურის” ატირებას იგი ვერ მოესწრო. დედა კი, დედა ქმარ-შვილის საფლავის ქვაზე უმწეოდ ჩამომჯდარი თავსხმა წვიმაში ფეხს არ იცვლიდა და მეორმოცე დღეს თავისი პირმშოს სულს ზეცისკენ ტირილით მიაცილებდა.

ეს მისი ზურა იყო, 57 წლის, დედისთვის მაინც პატარა ბიჭი, დიდი ტკივილი, თითქოს აგერ-აგერ რომ შემოაბიჯებს მხრებგაშლილი, ნათელი ღიმილით.

ჩემს ზურას მამის ლექსებიდან “ამოდი მზეო!” ძალიან უყვარდაო, –ქალბატონმა გუზიკომ.

“ამოდი მზეო!
ამ ლამპის შუქით განათებული, რაა ქვეყანა,
რომ ფიქრობ, რა ვარ,
ამ ჩემს ადგილზე ნეტავ ბალახი ამოგეყვანა”. – ეს მართალი კაცის ამოძახილია და, ალბათ, იმიტომ.

ზურაბ ადეიშვილი, როგორც პოეტ ნოდარ ადეიშვილის ვაჟი, ისე გავიცანით. ჩვენ მისი მეგობრები გავხდით, ის კი – ჩვენი. წარმოსადეგი, ინტელექტუალი, კეთილშობილი, ქვეყნის გულშემატკივარი, დედაზე საოცრად მზრუნველი შვილი – ასეთად დაგვამახსოვრა თავი.

პირველად იგი ბატონი ნოდარის შემოქმედებითი საღამოსადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში მოვიხსენიე. უყურადღებოდ არ დარჩენია, გულწრფელი მადლიერება გამოხატა. ახლა ერთხელ კიდევ ვწერ მასზე...

ის თბილისში, 1957 წლის 5 ოქტომბერს, დაიბადა. პირველ საშუალო სკოლაში წარჩინებით სწავლობდა. დირექტორის თხოვნის მიუხედავად, ზურა აქედან არ გადაიყვანოთ, სკოლას ოქროს მედალზე დაამთავრებს და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტიც გახდებაო, სწავლა კომაროვის სახელობის სკოლაში მაინც გააგრძელა. წარმატებით დაამთავრა იგი და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ერთადერთი სტუდენტი იყო, ვინც კარგი სწავ-

ლისთვის წელიწად-ნახევრით გერმანიაში, იენის უნივერსიტეტში გააგზავნეს სასწავლებლად. შემდეგ რუსეთში, ქალაქ დუბნაში სწავლობდა და დიპლომიც იქ დაიცვა. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე განაწილებით ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად დაიწყო მუშაობა. აფხაზეთშიც იბრძოდა, თავგანწირვის მაგალითებს უჩვენებდა ყველას. დაიჭრა კიდეც. გამოჩენილი გმირობისთვის კი, პრეზიდენტის ბრძანებულებით, ვახტანგ გორგასლის III-ე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

რუსთაველზე მოსეირნე გამორჩეული აღნაგობის ახალგაზრდა რეჟისორებს, ნანა მჭედლიძესა და მერაბ კოკოჩაშვილს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ზურა ფილმში “ნამდვილი თბილისელები” სათამაშოდ მიიწვიეს, სადაც მან პარტნიორობა მსახიობ თათული დოლიძეს გაუწია. შემოთავაზებები შემდეგაც იყო, მაგრამ, როგორც ქალბატონი გუზიკო იხსენებს, უარი თქვა, მსახიობობა ჩემი საქმე არ არის, მე მათემატიკოსი ვარო. წლების განმავლობაში იგი სხვადასხვა საქმიანობით იყო დაკავებული.

ქეთი და თეო ზურაბ ადეიშვილის ქალიშვილები არიან. ამაყობდა, რომ მათი მეუღლეები, მარტო სიძეები კი არა, მეგობრებიც იყვნენ მისი. ქეთი ბიზნეს-ეკონომისტია, კომპანია “დირსში” დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა უჭირავს. თეო ექიმია და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მუშაობს. ერთადერთი შვილიშვილი დათუნა კი, ჯერ მხოლოდ ერთი წლისაა.

უთქმელია მამუკაო, ამბობს უმცროს შვილზე დედა და არ უნდა, ძმის გარდაცვალებით გამოწვეულმა ტკივილმა ხელი დარიოს.

კაცი თავის თავს უკვდებაო, ამბობენ ხოლმე, მაგრამ ზურაბ ადეიშვილის მსგავსი ადამიანების ადგილი მუდმივად ცარიელია ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, მათთვის, ვისაც კი ოდესმე დახმარებია, განსაცდელის დროს გვერდით დასდგომია და შეშველებია. უყვარდათ იგი მისი სიკეთისთვის, ერთგულებისთვის, უბრალოებისთვის...

“ქუჩაში რომ ვინმეს ხელგაწვდილს დაინახავდა, მივიდოდა, ფულს მისცემდა, მისი მდგომარეობით დაინტერესდებოდა და მეორე დღეს კიდევ მოიკითხავდა. ყოფილა შემთხვევა, ქუჩაში წაქცეული ადამიანი სახლში თვითონ მიუყვანია. – გვიყვება ზურაბ ადეიშვილის შესახებ მისი მეგობარი გია ნუცუბიძე. – ბავშვობიდან ვიცნობდი, ერთ უბანში ვცხოვრობდით. საოცრად ნიჭიერი ადამიანი იყო. ტყუილი არ უყვარდა. ფიცხი გახლდათ, მაგრამ კეთილი, თავდაუზოგავი, შეუპოვარი. აფხაზეთის ომში ერთად წავედით, რომ გაიგო, დავიჭერი და საავადმყოფოში ვიწექი, სამხედრო მანქანის საჭესთან დაჯდა და ტყვეების ზუზუნში გამოიკვლია გზა. ჩემთან რომ მოვიდა, ტენტი მთლიანად დაცხრილული ჰქონდა.

საოცრად კეთილშობილი ადამიანი იყო ზურა, თანაც რომანტიული, პოეტური ბუნების. ვეუბნებოდი, შენ ლექსებს უნდა წერდე, მათემატიკურზე რა გინდოდა-თქო. სიცოცხლე უყვარდა, ყველაფერი უყვარდა, შეეძლო, ყვავილსაც კი მოჰფერებოდა. სადმე გზაზე მანქანას გამაჩერებინებდა, გადმოვიდოდა, ნახე, რა სილამაზეაო, მეტყოდა, იდგა და ბუნებით ტკბებოდა”.

ძალიან ერთგული და სამართლიანი იყო, ზურა კაცს არ გაწირავდა. თუ ასე მიყვარდა, არ მეგონაო. – სინანულს ვერ ფარავს მისი ბავშვობის მეგობარი ტატო ელიაშვილი.

ზურაბ ადეიშვილი ჩვენც დაგვაკლდა. ძნელია, გადაეჩვიო რედაქციაში მის მოსვლას, ხშირ სატელეფონო ზარებს, რომ ჩვენი მოკითხვით გაგვეხარებინა და გაგვემხნევებინა სამტრედიაში, ადეიშვილების ფუძეზე მყოფი მისი დედა.

წავიდა ზურა. უკვე აღარც ზარებია. მარტოდ დარჩენილ დედას კი თვალი მაინც კარისკენ გაურბის... უსასრულო მოლოდინი ჩამდგარა პოეტ ნოდარ ადეიშვილის “ მზისა და მთვარის საბატონოში”.

“ანდაზინყება მოყვრისა, არ ოდეს მვიზამს ზიანსა”

სამ მაისს დამირეკა პოეტმა და პროზაიკოსმა ნიკო ლომოურის პრემიის ლაურეატმა ბატონმა ჯემალ დობორჯგინიძემ, ლანჩხუთის რაიონის მკვიდრმა, სამტრედიაში ვარ და თუ შეგიძლია, შემხვდიო.

მე თავაზიანად მოვიპატიჟე, სახლში მესტუმრე-თქო. რაღაც საქმე მაქვს და შენი მხარდაჭერა მჭირდებაო. სასწრაფოდ გავეშურე მასთან. იქ დამხვდნენ ბატონი ჯემალი და ბატონი აკაკი თევზაძე, პოეტი, გალაკტიონის სახელობის პრემიის ლაურეატი. დღეს ამირან კალაძეს 70 წელი შეუსრულდებოდა, მასთან მრავალწლიანი მეგობრობა მაკავშირებდა. მინდა, მის საფლავზე გავიდე, რომ ეს თარიღი სიმბოლურად აღვნიშნო’’. _ მითხრა ბატონმა ჯემალმა. მცირე სანოვაგე შევიძინეთ და გავეშურეთ სოფელ ეწრის სასაფლაოსკენ. ათი წუთის მისულები არ ვიქნებოდით, ბატონი ამირანის საფლავთან შავოსანი სათნო, კეთილშობილი ქალბატონი რომ მოვიდა მოგვესალმა და ჩანთიდან სანოვაგე ამოალაგა.

ბატონმა ჯემალმა გაგვაცნო ქალბატონი ანნე მეცისი, ამირან კალაძის მეუღლე. გულისხმიერმა საუბარმა ერთი საათი გასტანა, შემდეგ თავაზიანად მოვუბოდიშეთ ქალბატონ ანნეს და წამოვედით.

ბატონი ამირან კალაძე პროზაიკოსი, პოეტი პუბლიცისტი, მთარგმნელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც იცოცხლა სამშობლოსთვის და მოკვდა სამშობლოსთვის. ამირან კალაძე უდროოდ წასული კიდევ ერთი ნათელი ქართველია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ჯემალ ტაბიძე

გმირების ხსოვნას

თქვენ დაიღუპეთ გმირულ საქმისთვის,
სამშობლოსათვის მებრძოლნო გმირნო,
შენ გაჩენილო სიცოცხლევ მზისთვის,
უშიშრად ჰპოვე საფლავში ბოლო.
მთელი სიცოცხლე გტირის მშობელი,
ქვეყნიერების დამცველო გმირო,
დედის ცრემლები შეუშრობელი,
შენ დაგტირიან, ჩემო ძმობილო.
გმირთა რიცხვიდან ამოუშლელო,
შენ საქართველოს ყვავილო შლილო,
დედის ცრემლები შეუშრობელი,
და საუკუნო ხსოვნა, ძმობილო!
სამოცდაათჯერ გამობრწყინდით ამ მაისიდან,
და შეგვახსენეთ ცრემლიანი გაკვეთილები.
მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვის დედამიწაზე,
სად არ დაეცნენ უშიშარი შენი შვილები.
საძმო საფლავში, წევხართ ძმობილნო,
ხვალის მშვიდობის თქვენ ხართ სიმბოლო,
ომის ქარცეცხლში გამოწრთობილნო,
გმირთა საფლავში თქვენ ჰპოვეთ ბოლო!

მერაბ ჩაჩავა

მოგონებები შენზე...

ამიკო ჩაჩოვს გახსენება

იცი, შორიდან თითქოს ყველაფერი მარტივი ჩანს, ამბობენ, დრო ყველაფერს კურნავსო, არ არის მართალი, ამ დიდ ტკივილს დრო ვერ განკურნავს. ვიცი, რომ სულ ჩვენთან იქნები, ჩვენო დიდო ტკივილო. როგორ გავექცეთ ამ დროს, როგორ შევეგუოთ, რომ აღარ ხარ. ვიღაც, შეიძლება, ჩემზე უკეთ წერს, მაგრამ ჩემზე უკეთ ჩემს სათქმელს ვერავინ იტყვის, ჩვენ ხომ ერთად ვიზრდებოდით...

როცა ბავშვობას მოვიგონებთ, მახსენდება შენი სახე, თვალწინ მიდგას და ცრემლები მახრჩობს, როგორ შევეგუოთ უშენობას, შენ ხომ ჩემი უფროსი ძმა იყავი, ჩემი ბავშვობის ჭინკა, რომელიც ყოველ საღამოს მაშინებდა. ახლა ვინ უნდა შემაშინოს, ჩემო ძამიკო. ნუთუ ცაში ხარ? ამბობენ მკვდარს მოკვდავთა სიყვარული იქაც აცოცხლებსო! თუ მართლა ასეა, მე პირობას გაძლევ, მუდამ ცოცხალი იქნები. ისევ მოვა მაისი, შენ ხომ მაისის თვეში ხარ დაბადებული, ვარდობის თვეში. მაისში მოვალთ შენს საფლავზე და მოვიტანთ ვარდებს.

ამიკო, მიჭირს წარსულში საუბარი შენზე. შენ სახლს ვეღარ ვუყურებ, არ ვიხედები შენს ეზოში, რაც აქედან წახვედი, ქუჩაც დაცარიელდა, ჩუმი გახდა. იცი, წელს თოვლი არ მოსულა, გახსოვს, ჩვენს ბავშვობაში თოვლი რომ მოვიდოდა, გარეთ გავვარდებოდით, ვგუნდაობდით, თოვლის პაპას ვაკეთებდით. ახლა უშენოდ რა ვქნათ?

როცა შენი ამბავი გავიგე, ცუდად გავხდი, არ შემეძლო შენს მეტზე არავისზე მეფიქრა, ჩემო დიდო ტკივილო. ასე ძალიან, რომ გიყვარდით შენი ბავშვობის მეგობრები. ჩვენო ძმაო, გვენატრები. ჩვენთვის მუდამ ცოცხალი იქნები!

11 მაისს 19 წელი შეგისრულდებოდა...

მარიამ ჩხაიძე



ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი

ალექსანდრე სტურუა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რკინიგზის დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი, დამსახურებული ვეტერანი რკინიგზელი

ირინდი ამბროსის ძე კილასონია

თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს და ახლო ნათესავებს.

გაზეთ ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა, ქალბატონი

ლილი ფირცხალავა-ფესვიანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ რედაქცია თანაუგრძნობს ნატო მიქაძეს

დედამთილის

გარდაცვალების გამო.

ამირან პაპავა ოჯახით თანაუგრძნობს შენგელიების, კლდიაშვილების და ბარდაჩიძეების ოჯახებს ქალბატონი

ლამარა ჯაჭილის

გარდაცვალების გამო.

აპრილი _ ნაყოფიერი თვე ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში

ორი დღის განმავლობაში ქალაქი წყალტუბო საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობდა, სადაც 25 აპრილს დაიწყო და 27 აპრილს დასრულდა ორთაბრძოლები ჭიდაობა ძიუდოში.

საერთაშორისო ტურნირში საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან უძლიერეს ძიუდოისტთა შორის ქალაქ სამტრედიის ნაკრები გუნდიც მონაწილეობდა.

შეჯიბრება პირადი პრინციპით წარიმართა. სამტრედიელმა ძიუდოისტებმა სხვადასხვა სინჯის მედლები მოიპოვეს. პირველი ადგილი თემურ დარსაველიძემ დაიკავა, ასევე პირველ ადგილზე გავიდა თორნიკე ანდღულაძე. მეორე ადგილი ლუკა წიქვაძეს ხვდა წილად. მესამე ადგილის მფლობელი გახდა ჯონი თარგამაძე, თედო დვალიშვილიც მე-3 ადგილს დასჯერდა. ორთაბრძოლებში მესამე ადგილები დაიკავეს გიორგი წიქვაძემ, ბექა ტალიკაძემ და ლუკა ქალდანმა.

27-28 აპრილს რესპუბლიკური ტურნირის მონაწილეებს ამჯერად ქალაქმა ხობმა უმასპინძლა. ჭიდაობა ძიუდოში სამტრედიელმა ფალავნებმა კვლავ ისახელეს თავი. ლუკა ქალდანმა აქ უკვე პირველი ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე გავიდა ბექა ტალიკაძე. მეორე ადგილს დაეპატრონა ანდრო ყაჭეიშვილი. მესამე ადგილი წილად ხვდა დავით ბადდავაძეს.

28-29 აპრილს დასავლეთ საქართველოს ღია პირველობა ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში. სამტრედიელი მოჭიდავეები აქაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: პირველი ადგილი 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში _ ლუკა ქალდანი, 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში _ ბექა ტალიკაძე. მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზურა მაღრაძე და 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ანდრო ყაჭეიშვილი.

ჭიდაობა ძიუდოში მომდევნო ასპარეზობები, სავარაუდოდ, ქალაქ თბილისში მაისის მე-2 ნახევარში გაიმართება.

აპრილი სამტრედიული ძიუდოსა და ქართული სტილით მოჭიდავეებისათვის წარმატებული აღმოჩნდა. კლუბ "ფალავანის" მთავარი მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში ავთანდილ თარგამაძე მიღწევებს სპორტსმენების და მათი მწვრთნელ-მასწავლებლების დაუღალავ შრომას მიაწერს: "კმაყოფილი ვარ სამტრედიელი ძიუდოისტების გამოსვლებით, ველოდებით კიდეც ასეთ კარგ შედეგებს, რადგან ამ ასპარეზობებს საფუძვლად უდევს სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაუღალავი შრომა.

კლუბ "ფალავანის" სახელით მადლობას ვუხდი ჭიდაობა ძიუდოს ახალგაზრდა და ენერგიულ მწვრთნელ-მასწავლებელს, ბესარიონ შვანგირაძეს, ქართულ ჭიდაობაში დამსახურებულ მწვრთნელს, ბადრი შენგელიას. ვუსურვებ, მომავალშიც ბევრჯერ ესახელებინოთ საკუთარი კლუბი "ფალავანი" და ქალაქი".

ნინო ნანიტაშვილი

გიორგი მელია ყველაზე პირველია

8-9 მაისს ქალაქ მინსკში გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში "გამარჯვების თასი" ახალგაზრდებს შორის. მასში ექვსი ქვეყნის ნაკრებები ასპარეზობდნენ.

გუნდურ ჩათვლაში 74 ქულით პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ნაკრებმა გუნდმა, რომელშიც 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში სამტრედიელი გიორგი მელია ასპარეზობდა. მან 4 შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორი ირაკლი მელაშვილი ულოცავს გიორგი მელიას და მის მწვრთნელს, გიორგი ვახტანგაძეს ამ წარმატებას და მომავალში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებას უსურვებს.

ცნობისთვის: ევროპის ჩემპიონატი ქალაქ სტამბულში 23-28 ივნისს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში 11-17 აგვისტოს გაიმართება.

საჭიდაო კლუბი "ფალავანი"

სამტრედიელი კარატისტების წარმატებები

1, 2, 3 მაისს მოსკოვში ჩატარდა "კარატეს საერთაშორისო ორგანიზაცია სრულიად იაპონიის კიოკუშინის კავშირის" ევროპის ჩემპიონატი კონტაქტიან კარატეში, კარატე კიოკუშინკაიში. ჩემპიონატში მონაწილეობდა 16 ქვეყნის წარმომადგენლები. მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრი თამარ ბიბილეიშვილი და მწვრთნელ მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია, როგორც მსაჯი.

წარმატებით იასპარეზა თამარ ბიბილეიშვილმა, რომელმაც დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი.

სენსეი მიხეილ ქანთარია და თამარ ბიბილეიშვილი მადლობას უხდიან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ვალერი ფოცხვერიას, რომლის დაჟინებული მოთხოვნით მოხდა ჯგუფის დაფინანსება.

23, 24, 25 ოქტომბერს სენსეი მიხეილ ქანთარია და თამარ ბიბილეიშვილი მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მიმდინარე წელს გერმანიის ქალაქ შვაინფურტში გაიმართება.

1-ლ და 2 მაისს თბილისში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კიოკუშინკაი კარატეში 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის. მისი ორგანიზატორი იყო "საქართველოს კიოკუშინკაი კარატე-დო-ს ეროვნული ფედერაცია (ფედერაციის პრეზიდენტი სენსეი ანზორ ჩუბინიძე). ტურნირში კარგად იასპარეზა სამტრედიელმა კარატისტებმა.

ვაჟთა შორის მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა რევაზ გიგაშვილმა. გოგონათა შორის მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა მარგო სტურუამ.

"სამტრედიის მაცნე"

ვულოცავთ!

ქალბატონ მზია ჩიხლაძეს!

ღვაწლმოსილ მსახიობს, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს, ვულოცავთ სახელოვან იუბილეს _ 80 წლის შესრულებას. დიდხანს ამშვენებდეს ჩვენ ქალაქს კოლორიტი ქალბატონი.

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამტრედიელი"

ქალბატონ მზია ჩიხლაძეს!

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, ღირსეულო ქალბატონო, იდღეგრძელეთ საყვარელ ოჯახთან ერთად. უფალმა დაგლოცოთ.

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა